ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

3ფ[ფქბ სფჯ,ფ4+
რფფსჯდფ
* ქფჰბ
!* ფგჰბქბლფყ




cfvif,fsb7 @$ fghbkb7 @)!@ 196 (5786) afcb5 #) stshb

# ადეიშვილი — პრემიერ-მინისტრი, ბაქრაძე — პრეზიდენტი, სააკაშვილი — პარლამენტის თავმჯდომარე?!

გვ.2

რა ჩაიფიქრა ხელისუფლებამ







## გაებუტნენ თუ არა შარტავა და სანიკიძე ივანიშვილს?

გვ. 3



სკანდალი არარსებული მოსაწვევების გამო

## მივა თუ არა პარლამენტში მერაბიშვილი



გვ. 5

ოპოზიცია პარლამენტში 5 მინისტრს იბარებს

## ლადო პაპავა: ჩეკების გათამაშებით ხელისუფლება დიდ ფულს შოულობს“

გვ.4





## ვახტანგ ყოლბაია ამომრჩეველთა ლიგის“ ინიციატივას მიესალმება

გვ.5



## მემარჯვენეები სოფლებში სიარულს განაგრძობენ

— გვ. 6 —

## საქართველო თავის მიღწევებს მონღოლეთს გააცნობს

გვ.10



ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 როგორია მიტინგის შეკრება და დაშლა გაჩეჩილაძისეულად?

3 გმირულად დაღუპული კაპრალის ოჯახზე სახელმწიფო ძალადობს

6 პატიმარს ყური მოაჭრეს

3 ივანიშვილის მეცხრე არხის ახალი საფრთხე

# ადეიშვილი — პრემიერ-მინისტრი, ბაქრაძე — პრეზიდენტი, სააკაშვილი — პარლამენტის თავმჯდომარე?!

ქეთი ხომერიკი

მართალია, ,,ქართული ოცნების“ ლიდერები დარწმუნებულები არიან, რომ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვებენ, შესაბამისად, ხელისუფლებაში მოვლენ, თანაც კონსტიტუციური უმრავლესობით, მეტიც, ძიძიგურს რომ ჰკითხოთ, ,,ივანიშვილის პარტია უკვე ხელისუფლებაშია“, თუმცა საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ მილიარდერ ივანიშვილს შესაძლოა მოსახლეობის დიდი ნაწილი უჭერს მხარს, ეს ჩვენს რეალობაში, სამწუხაროდ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებაში მოსვლა გარანტირებული გაქვს, ასე რომ, ივანიშვილისა და მისი პოლიტიკური პარტნიორების ასეთი თავდაჯერებულობა ცოტა უცნაურია. სხვათა შორის, გაჩეჩილაძესაც დაუჭირა ერის დიდმა ნაწილმა მხარი, თუმცა მაშინ მოგებულ პოზიციაში კვლავ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა აღმოჩნდა. მართალია, გაჩეჩილაძის შემთხვევაში ცოტა სხვა ფაქტორებმაც ითამაშეს გადამწყვეტი როლი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ივანიშვილსა და მის გუნდს მშვიდად ყოფნის საფუძველი ჰქონდეს, ალბათ, სააკაშვილისა და მისი გუნდის ფაქტორს უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ, რადგან ვინ ვინ და ,,ნაცები“ ხელისუფლების დათმობასა და საკუთარი ნებით ციხეში ჩაჯდომას არ გვგონია, აპირებდნენ. აი, ,,ნაციონალური მოძრაობის“ წონიანი ფიგურების განცხადებებსაც, თუ გადავხედავთ, იგივეს აღმოვაჩენთ, ვგულისხმობ იმას, რომ ისინიც საკმაოდ თავდაჯერებულები არიან და თავიანთ გამარჯვებას არც ისინი აყენებენ კითხვის ნიშნის ქვეშ. ალბათ, ეს განცხადებები ჰაერზე და მხოლოდ საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით არ კეთდება. გამოდის, წინ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უდავოდ გველის...

რაც შეეხება სააკაშვილისა და მისი გუნდის სამომავლო გეგმებს! ქვეყნის პირველ პირს წინასაარჩევნო კამპანია, რომ კარგა ხანია, დაწყებული აქვს, ამას ყველა მშვენივრად ვხედავთ. სააკაშვილის ყოველდღიური შეხვედრები სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან, აქეთ-იქით, რეგიონებში მოგზაურობები, ახალ-ახალი საავადმყოფოების გახსნები და უამრავი მსგავსი ღონისძიებები სწორედ ამაზე მეტყველებს და ამას ცხადია, საკუთარი თავისთვის და გუნდისთვის პლუსების დაწერის მიზნით აკეთებს. დიახ, გუნდისთვისაც, სააკაშვილმა ხომ გარკვევით განაცხადა, პარლამენტში გამოსვლისას, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ,,ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაიმარჯვოს მოახლოებულ არჩევნებში. ჰოდა, სააკაშვილის მსგავსად დაიწყეს უკვე ,,ნაცებმაც“ აქეთ-იქით სიარული, მოსახლეობასთან შეხვედრები, აბა, მთელი წინასაარჩევო პერიოდის განმავლობაში სააკაშვილი ხომ არ ივლის მათ მაგივრად აქეთ — იქით. საპარლამენტო არჩევნებზე სააკაშვილს კი არა ,,ნაციონალურ მოძრაობას“ უნდა მისცენ ხმა. ამ შეხვედრებიდან აღსანიშნავი იყო 19 აპრილს გამართული შეხვედრა. იმ დღეს გავრცელებული ინფორმაციით, ნაცები ჯერ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში იმყოფებოდნენ სტუმრად, სადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ლევან ბალაშვილთან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მაჟორიტარი დეპუტატის შერჩევის საკითხზე ისაუბრეს. სხდომას მაჭავარიანი, ცისკარიშვილი, კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი, ადგილობრივი პოლიციის უფროსი გიორგი ბუნტური და კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი ესწრებოდნენ. დახურული სხდომის შემდეგ კი ,,ნაც სასტავმა“ სოფელ ზემო ქედში გადაინაცვლა, სადაც წარადგინეს საპარლამენტო არჩევნების მომავალი მაჟორიტარი დეპუტატი, სამგზის ევროპის ჩემპიონი ძიუდოში ზაზა კედელაშვილი. და ამის შემდეგ შეხვდნენ მოსახლეობასაც. აღსანიშნავი იმიტომაც იყო ის დღე, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარის არც პარტიულ თათბირზე დასწრება შეიძლება და არც ნაცებთან ერთად მოსახლეობასთან საუბრები. კონტროლის პალატის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, პარტიულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს. მან ამ შეხვედრებზე დასწრებით კი, კანონი დაარღვია. მართალია, შემდეგ ,,ნაცებმა“ უარყვეს ბეჟუაშვილის იქ ყოფნა, მაგრამ ისინი მათთვის არასასურველ ინფორმაციებს ყოველთვის უარყოფენ. ასე რომ, აი, ასე ემზადებიან ,,ნაცები“ არჩევნებისთვის და ეს ფაქტი ივანიშვილის გუნდს, ალბათ, ცოტა მეტად უნდა აღელვებდეს.




აღსანიშნავი იყო ნაცების მეორე შეხვედრაც. მოგეხსენებათ, რესტორან ,,ლაზურში“ პედაგოგებისა და თბილისის მერის, გიგი უგულავას შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილიც შეუერთდა, რომელსაც ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია. გიგი უგულავამ კი, შეხვედრაზე ვანო მერაბიშვილის მისვლა იმით ახსნა, რომ შს მინისტრის თანამდებობა პოლიტიკურია და მას პოლიტიკაში მონაწილეობის უფლება აქვს. და რაზე ესაუბრენ ,,ნაცები“ და თავად ქვეყნის ხერხემალი მერაბიშვილი პედაგოგებს, კაცმა არ იცის. ზოგიერთი ოპოზიციონერის თქმით, მათ პედაგოგებს არჩევნების დღეს რაც შეიძლება მეტი ადამიანის მიყვანა, (მათი გარემოცვის) და ნაციონალებისთვის ხმის მიცემა დაავალეს. როგორც ჩანს, ხელისუფლება ჩვეული მეთოდებით მუშაობს. კიდევ ბევრი ასეთი შეხვედრის მომსწრენი გავხდებით, ყველაფერი წინაა... კვლავ მერაბიშვილის ფაქტორს დავუბრუნდეთ. რესტორანში ვანო მერაბიშვილის გამოჩენას დიდი მითქმა— მოთქმა მოჰყვა. ამ მითქმა-მოთქმის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ბოლო დროს აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მერაბიშვილი დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების დაწყებას, პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებასა და საჭიროების შემთხვევაში ოპოზიციაში გადასვლას გეგმავდა. აი, ამ ინფორმაციაზე ნაციონალებს ელიმებათ. იმავე შეხვედრაზე გოკა გაბაშვილმა აღნიშნა, რომ ვანო მერაბიშვილი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას არ იწყებს, თუმცა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერია და გიგი უგულავასთან, დიმიტრი შაშკინთან და მოძრაობის სხვა ლიდერებთან ერთად თავის ამომრჩეველს ხვდება, ეს არის და ესო. ვერ ვიტყვით, რომ გაბაშვილს ერი არასდროს მოუტყუებია, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მგონი არ ტყუის. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, მერაბიშვილი დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების დაწყებას, პარტიის შექმნასა და ნაცებთან პოლიტიკური განქორწინების გაფორმებას არ აპირებს, ამ ეტაპზე ყოველ შემთხვევაში. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, სააკაშვილის გადაწყვეტილებით მერაბიშვილი შესაძლოა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატიც კი გახდეს. სააკაშვილი თვლის, რომ მერაბიშვილი პრემიერობის კარგი კანდიდატურაა, თუმცა არც ძალოვნებიდან უნდა მისი ჩამოცილება, ამიტომ შესაძლოა ის ისევ ძალოვან სტრუქტურაში დატოვოს და თუ საბოლოოდ ასე გადაწყვიტა, მაშინ დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ მომავალ პრემიერ-მინისტრად ზურაბ ადეიშვილი მოგვევლინება. ამ ორიდან არჩევანს საბოლოოდ ადეიშვილზე გააკეთებს, — გვეუბნება, წყარო. რაც შეეხება ,,ნაცების“ საპრეზიდენტო კანდიდატს — აქ უგულავა-ბაქრაძეზე იყო საუბარი, თუმცა არჩევანი დავით ბაქრაძეზე გაკეთდა, თქვენ წარმოიდგინეთ უგულავამ თავად არ მოინდომა პრეზიდენტობა, სადაც ვარ კარგად ვგრძნობ თავს და დანარჩენს მომავალი მიჩვენებსო, უთქვამს. რაც შეეხება თავად სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალს, ჩვენი წყარო ადრეც გვეუბნებოდა და ახლაც იგივე ინფორმაციას ფლობს — პარლამენტის თავმჯდომარეობა აქვს ამ კაცს გადაწყვეტილი და არ მგონია, გადაიფიქროს, — გვეუბნება წყარო. რაც შეეხება იმას, თუ როგორ აპირებენ საპარლამენტო არჩევნების მოგებას, ამაზე ჩვენი წყარო შემდეგს გვეუბნება — ყველაფერზე წავლენ, რა თქმა უნდა, გააყალბებენ კიდეც, სულ იმას გაიძახიან ამ ამბავში მაჭავარიანი მაგარი გვყავსო.

და ,,ნაცები ,,არჩევნებს, რომ გააყალბებენ ამაში ივანიშვილის ,,ქართული ოცნებაც“ დარწმუნებულია. და რას აპირებენ ამ შემთხვევაში? თითოეული მოქალაქის ხმის დაცვას, როგორ? და თქვა კიდეც, ივანიშვილმა არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, ხმების დასაცავად ქუჩის აქციებს არ გამორიცხავო. ,,იმ შემთხვევაში, თუ 20 და 30 პროცენტის გაყალბება მოინდომა ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, მსგავს შემთხვევაში ჩვენ ანგელოზები ვერ ვიქნებით. დიახ, ქუჩაშიც დავდგებით და ხმებსაც დავიცავთ. კანონით განსზღვრული ყველა მეთოდით დავიცავთ ჩვენს ხმებს, თუ საჭირო გახდება, ხმების დასაცავად ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ თავად მოვუწოდებ, თუმცა ხალხი თავის ხმებს თავად დაიცავს და აჩვენებს მთელ მსოფლიოს, ვინ მოიგებს არჩევნებს — განაცხადა ივანიშვილმა, რომელიც დარწმუნებულია, რომ არც ამერიკა და არც ევროპა ხელს არ მოაწერენ საქართველოში არჩევნების გაყალბების მორიგ პრეცედენტს.

ქუჩის აქციებზე ივანიშვილის პოლიტიკური პარტნიორი ალასანიაც ალაპარაკდა, რომელსაც ჭირივით სძულდა აქციობანა, თუმცა დღეს მან აზრი შეიცვალა ან შეაცვლევინეს. სხვათა შორის, ივანიშვილის გარემოცვიდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ ეს განცხადება მხოლოდ განცხადებისთვის არ გაკეთდა და ,,ქართული ოცნება“ დარწმუნებულია რა იმაში, რომ სააკაშვილი არჩევნებს გააყალბებს აქედანვე რევოლუციისთვის ემზადება.

# როგორია მიტინგის შეკრება და დაშლა გაჩეჩილაძისეულად?

თამარ ნინიძე

**მაშინ, როცა პოლიტიკური ტემპერატურა სულ უფრო ხურდება და საპარლამენტო არჩევნების წინ ნაცმოძრაობასა და ქართულ ოცნებას შორის დაძაბულობამ პიკს მიაღწია, ძალიან დუნედ და მშვიდად მიმდინარეობს „ქართული პარტიის“ შიდა პარტიული ცხოვრება და შემოქმედება.**

## „პროცესის შეცვლას გარკვეული უნარები და ადეკვატური ქმედებები სჭირდება“

გაგახსენებთ, რომ ერთი თვის წინ პარტიიდან სოფიო ხორგუანი წავიდა და საკუთარ ბიზნესში მოღვაწეობს, პარტიაში დარჩენილი სახეებიდან კი პრესასთან კონტაქტი არავის სურს, უფრო სწორად, დროებითი ტაიმ-აუტი აქვთ აღებული და იმათაც კი არ პასუხობენ, ვისაც საჭიროა, რომ უპასუხონ, მაგალითად, ზოგიერთ ყოფილ თანაპარტიელს.

კოკა გუნცაძემ პრესას ცოტა ხნის წინ განუცხადა, რომ „ქართული პარტიის“ შექმნა შეცდომა იყო. „იდეა არ იყო მცდარი, მაგრამ პარტნიორები არასწორად იყვნენ შერჩეული. მათ ვგულისხმობ, ვინც ახლა ბარიერის მიღმა დარჩა, ეროსი კიწმარიშვილი და დანარჩენები, ვინც პარტიას აქამდე შემორჩა“, — აცხადებს საკმაოდ თავდაჯერებული თავის სიმართლეში კოკა გუნცაძე. ისე პარტიაში დარჩენილებს რომ გუნცაძემ ჰკითხოს, იქნებ სწორედ გაჩეჩილაძეს და მას თვლიან არასწორად შერჩეულ პარტნიორებად.

გუნცაძეს ირაკლი ოქრუაშვილი მხოლოდ 2007 წელს მოსწონდა, როცა ირაკლი აქტიურობდა და ბობოქარი გამოსვლებით ემუქრებოდა სააკაშვილს, შემდგომ კი, გუნცაძის თქმით, ოქრუაშვილს აღარაფერი გაუკეთებია.

საინტერესოა, რომ კოკა გუნცაძე, რომელმაც ახლახან „ამომრჩეველთა ლიგა“ დააფუძნა და რომლის დამფინანსებლის ვინაობას საგულდაგულოდ მალავს, ოქრუაშვილს პოლიტიკურ რჩევებს აძლევს, ასე მაგალითად, გუნცაძე ყოფილ პარტნიორს ჭკუას ასწავლის: „პარიზში ეიფელის კოშკთან ჯდომითა და იქიდან ბრძანებების გაცემით საქმე არ კეთდება. პროცესის შეცვლას გარკვეული უნარები და ადეკვატური ქმედებები სჭირდება, რასაც ის ვერ ახორციელებს“. ამაზეა ნათქვამი, გალმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო. ოქრუაშვილს რომ შეცდომები მოსდიოდა, ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, მაგრამ ნეტავ ვისზე ამბობს გუნცაძე პროცესის შეცვლას გარკვეული უნარები და ადეკვატური ქმედებები სჭირდებაო, თუ ასეთი მაგრები იყვნენ, გაჩეჩილაძეს და გუნცაძეს თავადაც გამოემჟღავნებინათ ეს „გარკვეული უნარები და ადეკვატური ქმედებები“, ვინ უშლიდათ. გაჩეჩილაძის პოლიტიკურ ბეგრაუნდში ყოველთვის იქნება მისი გმირული ქმედებები და უნარები, როცა მან დიდი რაოდენობით შეკრებილი მომიტინგეები პარლამენტის შენობისკენ კი არ მიმართა, არამედ იპოდრომზე შეკრიბა, და რას მიაღწია ამით, სად აღმოაჩნდა მას ის საიდუმლო უნარები, იქნებ გაგვარკვიონ. მართალია, დღეს არც ოქრუაშვილი ჩანს აქტიურად და არც ეროსი კიწმარიშვილი, მაგრამ ამ ორ ფიგურას რომ გუნცაძისა და გაჩეჩილაძისგან სასწავლებელი არაფერი სჭირთ, ეს საზოგადოებამ მაინც იცის კარგად.

28 აპრილს დაანონსებულ დიდ მანიფესტაციაში გუნცაძეს და გაჩეჩილაძეს აღარ მოუწეთ მონაწილეობა, ეს აქცია არ შედგება. სადღაც „ზემოთ“ ორივე მათგანს თითი დაუქნიეს, ზედმეტად აქტიურობისა და ბაქიბუქისთვის, ეტყობა, მათ დამფინანსებელს არ მოეწონა „ამომრჩეველთა ლიგის“ მიერ დაგეგმილი აქციის მიზანი და ამოცანა. ამიტომ ახლა გუნცაძემ გადაწყვიტა, კარდაკარ იაროს და ამომრჩევლების ზუსტი სია დაადგინოს, კაციტაძის კომისიას არ ენდობა. დღეს ისევ აქტუალურია ვინ აფინანსებს



გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# გმირულად დაღუპული კაპრალის ოჯახზე სახელმწიფო ძალადობს

## რას ჰყვება „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი შვილმკვდარი დედა

**ბიძინა ივანიშვილი მისი მხარდამჭერების მიმართ განხორციელებული ზეწოლის შესახებ საუბრობს. მისი ინფორმაციით, 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული კაპრალის, გიორგი ტატუაშვილის დედას, დარეჯან პატაშურს „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანების გამო დევნიან. ივანიშვილის თქმით, ტატუაშვილის არასრულწლოვანი ძმა სამხედრო პირებმა დააშინეს, რის გამოც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს 14 წლის რომიკოსა და მისი დის, თამთას გადამალვაც კი მოუხდათ. ივანიშვილის პრესსამსახურს გადაღებული აქვს ვიდეომასალა, თუ როგორ დარაჯობდა საეჭვო მანქანები მათ ამ სამალავთან. სავარაუდოდ, ტატუაშვილების დაკავება სურდათ. ამ ადამიანებმა არ უპასუხეს „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა შეკითხვებს, თუ რას დარაჯობდნენ ისინი. ეს საეჭვო პირები გადამღები ჯგუფის წევრებს დაემალნენ კიდეც.**

შალვა ჯოხაძე

ბიძინა ივანიშვილის ინფორმაციით, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, გიორგი ტატუაშვილის დედა დარეჯან პატაშური 11 მარ-



ტიდან არის რეგისტრირებული, როგორც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი. მან მჭიდრო კავშირი დაამყარა მარნეულის შტაბთან, სადაც ის ცხოვრობს. პატაშურს მალევე დაუკავშირდნენ. მისი თქმით, უთხრეს, რომ თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან ელაპარაკებოდნენ, რომ ოცნებას კაცი არ მოუკლავს. იოცნებე, იოცნებეო, – ცინიკურად მიმართეს ქალბატონს, რაც მან ერთგვარ მუქარად აღიქვა. აღდგომის დღეებში „ქართული ოცნების“ მარნეულის ორგანიზაციის წევრები ტატუაშვილის საფლავზე გავიდნენ. იქვე იყვნენ თავდაცვის სამინისტროდან გაგზავნილი ჯარისკაცებიც. მათ განაცხადეს, რომ ტატუაშვილის ხსოვნისათვის პატივის მისაგებად და იმის გასარკვევად მივიდნენ, ოჯახს რაიმე პრობლემა ხომ არ ჰქონდა. ამაზე დარეჯან პატაშურმა მათ განუცხადა, რომ მისი ერთადერთი პრობლემა ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლება იყო. პატაშურმა აღნიშნა, რომ „ქართულ ოცნებაში“ წევრიანდებოდა. ივანიშვილის ინფორმაციით, ამ მოვლენებიდან მოკლე ხანში ტატუაშვილების ოჯახში მივიდნენ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, 2 ქალბატონი და 1 მამაკაცი. ამ დროს დარეჯან პატაშური თბილისში იმყოფებოდა. თამთა ტატუაშვილი იცნობს ორ მათგანს, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელ ნატა ასლამაზიშვილს და მამაკაცს, ბუჩუკურს. ამ ადამიანებმა 14 წლის რომიკო ტატუაშვილი ავტომანქანაში ჩაისვეს და დაჭერით დაემუქრნენ. ისინი ითხოვდნენ, ეთქვა, სად იყო დედამისი. ის მეზობლების აქტიური ჩარევის შემდეგ გამოუშვეს. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებიცა და თავად დარეჯან პატაშურიც ამ ყველაფერს მის პოლიტიკურ აქტიურობას უკავშირებენ.

– მე მათ ამ ნაბიჯში ამოვიკითხე, რომ გავჩუმდე და ჭკვიანად ვიყო. ასევე ის, რომ ჩამომართმევენ ბინას, რომელიც გიორგის სიცოცხლის ფასად მივიღე, – განაცხადა დარეჯან პატაშურმა.

საუბარია იმ 40 კვ.მ. ბინაზე, რომელიც დაღუპული გმირის ოჯახს სახელმწიფომ ვარკეთილში, სამხედრო დასახლებაში გადასცა.

– მე უმცროს ვაჟიშვილს შევუთანხმდი და ჩვენ ამ ბინას ვტოვებთ. ეს გადაწყვეტილება 3 კვირის წინ მივიღე. მე ამ ბინით არ ვსარგებლობ და ის არც არაფრად მიმაჩნია, – აღნიშნა პატაშურმა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ბიძინა ივანიშვილმაც.

– ეს ქალბატონი არ დაემორჩილა იმ მუქარას, რაც მისი მისამართით იყო და შემდეგ მის შვილებზე დაიწყეს ზეწოლა. შვილები ჩვენ ერთ-ერთი მეგობრის ბინაში გვყავდა გადამალული, რამდენადაც ქალბატონი დარეჯანი ამას ძალიან განიცდიდა. ქალბატონმა დარეჯანმა არ იცის, რომ ჩვენ ვიდეოფირზე გადავიღეთ პოლიციის სამი მანქანა, რომლებიც მათ დარაჯობდნენ, რათა ბინიდან გამოსვლის შემთხვევაში აეყვანათ.

ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ! სააკაშვილისათვის წმინდა არაფერია და ეს არის მხოლოდ მისი იდეოლოგია. ეს ერთი კაცის იდეოლოგიაა. ამ ქალბატონის მიმართ ჩვენ ყველანი ვალში ვართ. გმირის დედა და და-ძმა მთელი ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერას იმსახურებენ, რაგანაც ქალბატონმა გმირი შვილი გაზარდა და შესწირა სამშობლოს. რა თქმა უნდა, ჩვენ მათ ბოლომდე დავუდგებით გვერდში, უახლოეს მომავალში ჩვენ მოვახერხებთ, რომ მთელი საქართველო დავიცვათ ამ ერთი, სააკაშვილის ძალადობისაგან.

ამ ქალბატონმა განსხვავებული აზრი გამოხატა და ამის გამო დაისაჯა. ესაა სააკაშვილის იდეოლოგია. გმირის დედასაც არ აქვს უფლება, განსხვავებული აზრი ჰქონდეს. ეს არის ჩვენი ქვეყანა დღეს. განსხვავებული აზრი იდევნება, ამისგან გმირის დედაც არ არის დაცული, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ივანიშვილის თქმით, თითოეული ადამიანის გადამალვა გამოსავალი არ არის და ამიტომაც რამდენიმე დღეში აამოქმედებენ პროგრამას, რომელიც ძალადობრივი იდეოლოგიისაგან დაიცავს ყველა ადამიანს.

# გაებუტნენ თუ არა შარტავა და სანიკიძე ივანიშვილს?

### სკანდალი არარსებული მოსაწვევების გამო

შალვა ჯოხაძე



„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სადამფუძნებლო ყრილობაზე ვინ არ იყო მისული, თუმცა ივანიშვილის პოლიტიკური კოალიციის შემადგენლობაში მყოფი „ეროვნული ფორუმის“ ლიდერები არ ჩანდნენ. სად იყვნენ გუბაზ სანიკიძე და კახა შარტავა? – ბუნებრივია, მედიას ასეთი კითხვა გაუჩნდა. ჟურნალისტებმა გუშინ თავად ივანიშვილსა და მის პრესსპიკერს ჰკითხეს, სად იყვნენ ფორუმელები. აღსანიშნავია, რომ კულუარებში გავრცელდა ინფორმაცია უთანხმოებასთან დაკავშირებით, რის გამოც ფორუმმა ყრილობაზე მისვლა გადაიფიქრა. ალაპარაკდნენ იმაზე, რომ გუბაზ სანიკიძეს მისაწვევი არ მიუვიდა, ამიტომაც „ფორუმი“ განაწყენდა.

ბიძინა ივანიშვილი „ეროვნულ ფორუმთან“ უთანხმოებას უარყოფს. როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ჟურნალისტებს უთხრა, ის და კახა შარტავა მეგობრობენ.

– ჩვენ მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს კახა შარტავასთან. მას აქვს საუკეთესო იუმორი და მე მიყვარს პიროვნებები, რომელთაც კარგი იუმორი გააჩნიათ. ასევე გუბაზ სანიკიძესთან მაქვს კარგი დამოკიდებულება. უბრალოდ, რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, – განაცხადა ივანიშვილმა.

ამ თემაზე კომენტარი გააკეთა მაია ფანჯიკიძემაც. მისი თქმით, ბუნებაში არ არსებობს და ვერავინ იპოვის მოსაწვევს, რომელიც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობაზე დაპატიჟებულ ადამიანებს მიუვიდათ. ფანჯიკიძის განმარტებით, მიპატიჟება ყველა სტუმარმა სიტყვიერად მიიღო.

– დაბეჭდილი მოსაწვევები არ არსებობდა. სტუმრები დაპატიჟებულნი იყვნენ მხოლოდ სიტყვიერად. ყრილობაზე მიწვეული იყო კოალიციის ყველა ლიდერი.

ყრილობის წინა დღეს გამართულ პოლიტსაბჭოს სხდომაზე კახა შარტავამ თქვა, რომ კონკრეტულად ყრილობის დღეს მოსვლას ვერ მოახერხებდა. იგივე შეიძლება ითქვას გუბაზ სანიკიძეზეც. ალბათ, ფიზიკურად არ შეეძლოთ მოსვლა. მიზეზს არავინ ჩაძიებია, რადგან ეჭვი არ გვეპარება, რომ ყრილობაზე დასწრება ყველას სურდა, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

გუშინ ამ საკითხზე კომენტარები ივანიშვილის გუნდის სხვა წევრებმაც გააკეთეს.

ელისო ჩაფიძის განცხადებით, მან არ იცის, თუ რა მიზეზით არ მივიდა ,,ეროვნული ფორუმის“ თავმჯდომარე, კოალიცია ,,ქართული ოცნების“ წევრი კახა შარტავა პარტიის ყრილობაზე.

– მე და კახა შარტავა რამდენიმე დღის წინ ერთად ვიყავით ერთ-ერთი ოფისის გახსნაზე. სახელისუფლებო მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაპირისპირებისა და წყენის შესახებ, აბსოლუტურად არ შეესაბამება რეალობას. მე პირადად ყველაზე ახლო და მეგობრული ურთიერთობები ფორუმის წარმომადგენლებთან მაქვს. ვერანაირად ვერ გავახარებ იმ არხებს, რომლებიც ასეთ ინფორმაციებს ავრცელებენ. კახა შარტავას გავუგზავნეთ მოსაწვევი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რატომ არ მოვიდა. შესაძლოა ის დაკავებული იყო, ან გაციებული ან რაიმე პრობლემა ჰქონდა, – აღნიშნა ჩაფიძემ.

როგორც ხედავთ, ჩაფიძემ მოსაწვევი ახსენა, თუმცა ეს ზეპირი მიწვევა იყო თუ ოფიციალურად გაგზავნილი წერილი, არ დაუკონკრეტებია. ჩაფიძის თქმით, 21 აპრილს იყო სამუშაო ყრილობა და ისინი ყრილობაზე ბევრი ლიდერი ყოფნას არ გეგმავდნენ.

– უცხოელი დიპლომატები, რომლებსაც მე პირადად შევხვდი, გამოთქვამდნენ სურვილს მონაწილეობა მიეღოთ ყრილობის მუშაობაში ან დამსწრის სტატუსით ყოფილიყვნენ, მაგრამ ჩვენ ჩავთვალეთ, რომ, რადგან პროცედურა კენჭისყრების არის საკმაოდ ხანგრძლივი და ხელისუფლება ჩვენს პარტიას გამადიდებელი შუშით აკვირდება, ნებისმიერი ტიპის აჩქარება ან ნახევარი ხმის დაუთვლელობა შეიძლებოდა გამხდარიყო ჩვენი ყრილობის ბათილობის საფუძველი, ამიტომ ჩვენ არ შევაწუხეთ ძალიან ბევრი ლიდერი, რომ მოსულიყვნენ და დასწრებოდნენ ამ ღონისძიებას, – აღნიშნა ჩაფიძემ.

ზვიად ძიძიგურმაც დაადასტურა, რომ ყრილობის წინა დღეს პოლიტსაბჭოს სხდომაზე ფორუმელები იმყოფებოდნენ, ამიტომაც უსიამოვნების მსგავსი რამ კოალიციაში არ არსებობს.

– ფორუმელები პოლიტსაბჭოში იყვნენ, ესწრებოდნენ და იღებდნენ ამ ყველაფერში მონაწილეობას. მე რომ არ მივსულიყავი ყრილობაზე, ხუთი შვილი მყავს და მაქვს უამრავი პრობლემები, ეს საფუძველი გახდებოდა იმის, რომ ეთქვათ ძიძგური წავიდა კოალიციიდან?ნ – განუცხადა ჟურნალისტებს ზვიად ძიძიგურმა.

გუშინვე „პრაიმ-ტაიმს“ „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა რევაზ შავიშვილმა ბიძინა ივანიშვილის პარტიის ყრილობაზე სანიკიძე-შარტავას არყოფნის მიზეზად მათი თბილისში არყოფნა დაუსახელა.

– ჩვენი წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ ლიდერები არ იყვნენ თბილისში, მეტი არაფერი არ მომხდარა. სხვა არაფერი მანდ არ ხდება, – აღნიშნა შავიშვილმა.

# ივანიშვილის მეცხრე არხის ახალი საფრთხე

## რა წერია საკონსტიტუციოს გადაწყვეტილებაში, რომელსაც საია და ომბუდსმენი მიესალმებიან

შალვა ჯოხაძე

მეცხრე არხის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი მაუწყებლობის ნახვის შესაძლებლობა მაყურებელს ექნება გლობალ თივის, მაგთისატისა და სატელიტური თეფშის მეშვეობით. ივანიშვილის სახსრებით შექმნილი ტელევიზიის მაუწყებლობა უახლოეს დღეებში დაიწყება, თუმცა ეთერში მის გასვლამდე საკაბელო მაუწყებლებისათვის გარკვეული სიახლეებია.

შეგახსენებთ, რომ 11 აპრილს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. აღნიშნული გადაწყვეტილების სრული ტექსტი საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით ცოტა ხნის წინ გახდა ხელმისაწვდომი. სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლთან (გამოხატვის თავისუფლება) შეუსაბამოდ სცნო კაბელური ქსელით მაუწყებლობის ლიცენზირების ვალდებულება, თუმცა ძალაში დატოვა თანამგზავრის მეშვეობით მაუწყებლობის ლიცენზირების აუცილებლობა.

საია ,,სასამართლოს მეგობრის“ სტატუსით ჩართული იყო ამ საქმეში. აღასანიშნავია ის გარემოება, რომ საიას წერილობითი მოსაზრებები აისახა გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში. საია ამტკიცებდა, რომ საეთერო მაუწყებლობისგან განსხვავებით, საკაბელო და თანამგზავრის მეშვეობით მაუწყებლობისას არ გამოიყენებოდა ბუნებრივად ამოწურვადი რესურსი – სიხშირე, შესაბამისად, გამართლებული არ იყო, აღნიშნული ტიპის მაუწყებლობის დაწყებისათვის კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიიდან ლიცენზიის მიღება. თავის მხრივ, ლიცენზიის გარეშე საკაბელო და თანამგზავრული მაუწყებლობის დაწყების შემდეგ, მარეგულირებელ კომისიას უნდა შეენარჩუნებინა, ასეთი მაუწყებლის საქმიანობის კანონიერების შემოწმების უფლებამოსილება.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა სახალხო დამცველისა და საიას მოსაზრებები საკაბელო მაუწყებელთან მიმართებაში. საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ საკაბელო მაუწყებლობა ხორციელდებოდა არა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სიხშირული სპექტრის მეშვეობით, არამედ მაუწყებლობის განმახორციელებელი პირის კერძო საკუთრების ქვეშ მოქცეული ინფრასტრუქტურით, სწორედ ამიტომ, აღნიშნული მაუწყებლობის დასაწყებად საჭირო არ იყო ლიცენზირება. კომისიას რჩებოდა შესაძლებლობა, საკაბელო მაუწყებლის საქმიანობის კანონთან შესაბამისობა გაეკონტროლებინა ლიცენზირების გარეშე. სასამართლომ ასევე არ გამორიცხა საკაბელო მაუწყებლის ვალდებულება, მაუწყებლობის დაწყებამდე წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მაუწყებლობის მსურველი პირის თაობაზე.

სასამართლომ არ გაიზიარა სახალხო დამცველისა და საიას მოსაზრება თანამგზავრული მაუწყებლის ლიცენზირების ნაწილში. სასამართლომ განაცხადა, რომ თანამგზავრული მაუწყებლობა, საკაბელო მაუწყებლისაგან განსხვავებით სცილდება საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებს და იმავდროულად ექცევა სხვა ქვეყნების იურისდიქციაში, რის გამოც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლით რეგულირების საგანს.

– საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, საგარეო ურთიერთობის წარმოებისას სახელმწიფოს დისკრეცია – დააწესოს სალიცენზიო ხასიათის შეზღუდვები – შედარებით ფართოა.

კაბელური მაუწყებლობის ლიცენზირების აუცილებლობამ 2008 წელს სერიოზული პრობლემები შეუქმნა ტელეკომპანია ,,მაესტროს.“ ლიცენზიის არ არსებობის გამო კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სანქცია დააკისრა ტელეკომპანია ,,მაესტროს,“ რასაც მოჰყვა აღნიშნული სატელევიზიო სადგურის სამაუწყებლო ბადიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის პროგრამების ამოღება. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მოტივით კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ,,მაესტროს“ უარი უთხრა

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ლადო პაპავა: ჩეკების გათამაშებით ხელისუფლება დიდ ფულს შოულობს“

შორენა კოწოწაშვილი

პროფესორი ლადო პაპავა დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის მთავრობა კიდევ არაერთ ეკონომიკურ ხრიკს მიმართავს და საკანონმდებლო ნონსენსზეც არ იტყვის უარს იმისათვის, რომ მილიარდერ პოლიტიკურ მეტოქესთან ბრძოლაში საპარლამენტო არჩევნებისთვის სოლიდური ფული ამოქაჩოს მოსახლეობის ჯიბეებიდან და შემდგომ, წინასაარჩევნოდ გადმოგდებული კაპიკებისთვის გაჭირვებულ მოსახლეობას „მადლობა მიშას“ აძახებინონ.

ლადო პაპავა სააკაშვილის ხელისუფლების შენარჩუნებით დაინტერესებას რუსულ პოლიტიკას მიაწერს.

რა კანონი „გაძვრა“ დისკუსიის გარეშე პარლამენტში და ვერა ქობალიას ინიციატივა იყო თუ არა პარლამენტის შენობის გაყიდვა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს პროფესორ **ლადო პაპავასთან**.




***– ბატონო ლადო, დაფუძნდა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური პარტია, რომელსაც არა თავად ივანიშვილი ან მისი მეუღლე, არამედ იურისტი მანანა კობახიძე უხელმძღვანელებს. სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო ივანიშვილმა ამ საკადრო გადაწყვეტილებით?***

– პასუხი მიჭირს, რადგანაც პარტიის „სამზარეულოს“ არ ვიცნობ. მთავარი მაინც ისაა, რომ ხალხმა ეს ახალი პარტია მაინც, როგორც ივანიშვილის პარტია, ისე იცის.

***– თქვენ ახსენეთ, რომ საგარეო ფაქტორები გარკვეულ გავლენას იქონიებს ოქტომბრის არჩევნებზე. რატომ ფიქრობთ, რომ პუტინს აწყობს სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ოქტომბრის არჩევნებში გაიმარჯვოს. საჯარო განცხადებებით ცნობილია, რომ მათ შორის სერიოზული დაპირისპირებაა.***

– დამერწმუნეთ, მოსკოვი ყველანაირად დაეხმარება სააკაშვილს შემოდგომაზე არჩევნებში გასამარჯვებლად. პუტინს ხელს აძლევს სააკაშვილის მხრიდან რუსეთის მიმართ აგრესიული რიტორიკა. ამით უნდათ შეიქმნას ილუზია, თითქოს მოსკოვს არ აწყობს სააკაშვილი. მეორე მხრივ, რატომ არ აწყობს? რასაც უნდა, იმას აკეთებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მოსკოვი არა მარტო ოკუპაციას, ანექსიასაც ახორციელებს. ერთი მხრივ, გახსნა საელჩოები და დანიშნა ელჩები. ელჩების დანიშვნის შემდეგ თითქოს ალოგიკური უნდა ყოფილიყო რუსეთის მთავრობის წარმომადგენლის დანიშვნა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ამით თავად მოსკოვმა აღიარა, რომ მის მიერ გახსნილი საელჩოები სოხუმსა და ცხინვალში არის ფორმალობა. პრაქტიკულად მიდის სრული ანექსია. რეალურად საქართველო აქ უსუსურია. საერთაშორისო თანამეგობრობაც დიდად ვერ ერევა ამ პროცესში. პირველ რიგში, რაღაც კომუნიკაცია უნდა იყოს საქართველოს ლიდერსა და რუსეთის ლიდერს შორის. დღეს ეს კომუნიკაცია არ არსებობს. რაში სჭირდება პუტინს ვინმე სხვა?! სხვას, იძულებული იქნება, ელაპარაკოს, ახალ ლიდერს უნდა დაელაპარაკოს ყველა საერთაშორისო ფორმატში. ძალიან საინტერესო კადრი გავიდა, სააკაშვილი სეულში როცა იყო საერთაშორისო ენერგეტიკულ სამიტზე. კადრში აჩვენეს, ბოლოს ლიდერები სურათს რომ იღებდნენ. პროტოკოლის წარმომადგენელმა მოიყვანა სააკაშვილი და მეორე რიგში დააყენა. მერე, როცა სურათის გადაღება იყო, სააკაშვილი ჩამოდის დაბლა, დგება პირველ რიგში და შუაში დგას ერთი კაცი მასა და მედვედევს შორის. გამოდის, სააკაშვილისთვის სულაც არ არის მიუღებელი მედვედევთან ახლოს დგომა. რეალურად სურათი ასეთია: პრაქტიკულად მოსკოვს აწყობს, რომ ჰყავდეს სააკაშვილი საქართველოში და ყველაფრით ეხმარება მას. შემოდგომაზეც სამხედრო წვრთნების დანიშვნა, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილის მხარდაჭერა, რომ ნაცმოძრაობამ საპარლამენტო არჩევნები მოიგოს. რატომ მაინცდამაინც წელს შემოდგომაზე დაინიშნა სამხედრო წვრთნები, ახლა, გაზაფხულზე დაენიშნა ან ზაფხულში, ანდა სულაც 2013 წლის პირველ ნახევარში. ამით მოსკოვი სააკაშვილს აძლევს საბაბს თქვას, რომ რუსეთი 2008 წლის მსგავსად საქართველოში შემოჭრისათვის ემზადება, რაც მას აძლევს საფუძველს, თავის მხარეზე მოიმხროს ამომრჩეველი.

***– მოდით ხელისუფლების ეკონომიკურ ინიციატივებზე და ეკონომიკის მინისტრ ვერა ქობალიას მიერ პარლამენტის გაყიდვის ინიციატივაზე ვისაუბროთ. უკმაყოფილებას არ იწვევს თქვენში პარლამენტის შენობის პრივატიზება?***

– პირველად, როდესაც სერიოზულად განვიცადე ასეთი რამ, ეს იყო 2004 წელი, როდესაც კრწანისის რეზიდენციის გაყიდვის საკითხი გავიგე. ჩემთვის ვერ ვხსნიდი, რატომ უნდა გაყიდულიყო კრწანისის რეზიდენცია. ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც უმაღლეს დონეზე შეიძლებოდა სტუმრების მიღება, განთავსება, შეხვედრების მოწყობა. თანაც ეს იყო კარგ ადგილას. შეიძლებოდა იქ თანამედროვე შენობების ჩადგმა და ინფრასტრუქტურის განვითარება. შემდეგ განვიცადე სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობის გაყიდვა და იმელის შენობის ნგრევის დაწყება. ასე რომ, დღეს პარლამენტის შენობის პრივატიზების გამოცხადება სულაც არ არის გასაკვირი.

***– ამ გადაწყვეტილების დროს ფინანსური ინტერესები უფრო იქნა წინა პლანზე წამოწეული თუ პოლიტიკური?***

– ერთიც და მეორეც. ნაციონალები ისტორიას ცვლიან. ეს შენობა კი არის გარკვეულწილად საქართველოს ისტორიის სერიოზული ნაწილი. სავარაუდოდ, პარლამენტის შენობის მყიდველი სადმე ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანია იქნება, რომლის თანამეწილეები აუცილებლად ქართველებიც იქნებიან. მერე თუ დასჭირდებათ, ძალიან კარგად გაყიდიან.

***– თქვენი აზრით, ვერა ქობალიამ ქვეყნის პირველი პირის დაკვეთა შეასრულა თუ თავისი ინიციატივით მიიღო პარლამენტის შენობის პრივატიზების გადაწყვეტილება?***

– ნამდვილად არ მინდა ვერა ქობალიას მიმართ კრიტიკული ვიყო. ჩემში ის გაღიზიანებას არ იწვევს, ვიდრე ნებისმიერი მისი წინამორბედი, რომელსაც რაღაცაზე პრეტენზია ჰქონდა და სინამდვილეში კი დიდი გაუგებრობა იყო. რაც შეეხება ამ ინიციატივას, არა მგონია, რომ ეს მისი ინიციატივა იყოს. აბა, გაიხსენეთ, ეკონომიკური ბლოკის რომელიმე მინისტრს, გარდა ბენდუქიძისა, თუ ჰქონია რაიმე ორიგინალური აზრი, რომ მერე ეს ინიციატივა გამხდარიყო?! მე მახსენდება რომან გოცირიძის პარლამენტში გამოსვლა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რანგში, როცა მან ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებს მიმართა – ბენდუქიძეს იდეები მაინც აქვს, ხანდახან მცდარი, მაგრამ მაინც იდეებიაო და თქვენ საერთოდ ვინა ხართო...

***– რატომ ხდება პარლამენტის გადატანა ქუთაისში დაჩქარებული წესით და 26 მაისს სხდომის ჩატარება რა მიზანს ემსახურება?***

– პიარისთვის სჭირდებათ. დარწმუნებული იყავით, რომ გახსნის შემდეგ კარგახანს გაგრძელდება სარემონტო სამუშაოები. ასე იჩქარეს ანაკლიაში ხიდის გახსნა, რომელიც მერე წყალმა წაიღო. რადგან სააკაშვილმა ერთხელ თქვა, რომ 26 მაისს ქუთაისში ახალ პარლამენტში უნდა გაიმართოს სესიაო, საჭირო გახდა ამ სურვილის შესრულება. 26 მაისს იქ კი შეიკრიბებიან, მაგრამ მერე გაგრძელდება სამშენებლო სამუშაოები. რომელი ობიექტი გახსნა ისე, რომ მერე სამუშაოების ჩატარება არ გაგრძელებულიყო?!

***– ეკონომიკური კუთხით კიდევ რა ნაბიჯებზე შეიძლება წავიდეს ხელისუფლება მეტი ფინანსური სარგებლისთვის? ითქვა, რომ ბენზინი 3 ლარამდე გაძვირდება. ეს კი, ბუნებრივია, პროდუქციას გააძვირებს.***

– ახლა ყველაზე სერიოზული ნაბიჯი, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ გადადგა, რასაც მასმედიამ სათანადო კრიტიკული ყურადღება არ მაქცია, ის არის, რომ ნებისმიერი ქვითარი, რომელიც სალარო აპარატით გამოირტყმება, ეს არის ლატარიის ბილეთი. ეს არის პრაქტიკულად ხალხის მორიგი დაყაჩაღება. ჯერ ერთი, თუ ეს ქვითარი ლატარიის ბილეთია, მას სჭირდება საპრემიო ფონდი. მეორე – გათამაშებისთვის რომ ფონდი შეიქმნას, ჩვენ მიერ ნაყიდ პროდუქციაში გადახდილი თანხიდან რაღაც ნაწილი ამ ფონდში უნდა შევიდეს. ეს არის მეწარმეებისთვის წილში ჩაჯდომა; მეწარმეს თუ ეს არ უნდა, ფასი უნდა მოუმატოს. თუ გაუვიდა გაძვირებული საქონელი, მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს. ეს არის პირდაპირი დაყაჩაღება. პრაქტიკულად ამ კანონზე არანაირი კრიტიკული რეაქცია არ ყოფილა. ძალიან ადვილად გაიტანეს.

***– წინასაარჩევნოდ ხელისუფლება დამატებით მოსახლეობიდან სოლიდურ თანხებს ამოიღებს?***

– გინდა არ გინდა, ყველა ვხდებით იძულებითი ლატარიის მოთამაშე. იმიტომ, რომ შეუძლებელია პური არ იყიდო, წამალი არ იყიდო და ა.შ. ეს არის დაყაჩაღების შესანიშნავი სქემა. გაჭირვებული პენსიონერიც ხომ ყიდულობს პურს. ფულს მისგანაც წაიღებენ. ეს კანონი პარლამენტში გავიდა, როგორც ჩვეულებრივი რამ. ეს არის გრანდიოზული აფიორა და ის უმტკივნეულოდ „გააძვრინეს“ სხვადასხვა პოლიტიკური თემების ფონზე. წარმოიდგინეთ, საშუალოდ 3-5 თეთრიც რომ ამოიღონ ყველაზე მცირე ოდენობის ნავაჭრიდან, რამდენი მილიონი შემოსავლის მობილიზებაა შესაძლებელი სახელმწიფოს ყულაბაში, თანაც ლეგალური გზით.

***– გამოდის, არც ისე არაკომპეტენტური და გამოუცდელი მთავრობა გვყოლია, როგორც ოპოზიცია აფასებს. არა?***

– სათავისოდ ძალიან ჭკვიანები არიან.

***– კიდევ არსებობს რეზერვი იმისა, რომ დამატებითი თანხები ამოქაჩონ მოსახლეობიდან.***

– რა, ამ კანონთან მიმართებაში ვინმე გამოვიდა პარლამენტში ამის წინააღმდეგ? მე, ყოველ შემთხვევაში, არ მახსოვს. მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია და ნაციონალების აღფრთოვანება გავიდა საინფორმაციო საშუალებებით.

***– ერთი მხრივ, პარლამენტის ეს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ხელისუფლების მხრიდან დღეს აქტიურად პიარდება, დისკრიმინაციულიცაა. თუ არ მინდა ლატარიის თამაში, ხელისუფლება რატომ მაიძულებს?***

– რა თქმა უნდა, დისკრიმინაციულია. ამიტომ გეუბნებით, ჩვენ, ყველა ვხდებით მოთამაშე. ბიზნესმა რა უნდა ქნას – ან შემოსავალი უნდა დათმოს, ან ფასი გაზარდოს. ფასს თუ მოუმატებს, ჩვენ, მყიდველები, ვზარალდებით. თუ ფასს ვერ მოუმატებს, რადგან ხედავს, რომ გაზრდილი ფასით პროდუქცია არ იყიდება, მაშინ თავის მოგება უნდა დათმოს სახელმწიფო ლატარიის სასარგებლოდ.

***– იგივე „112“ გადასახდელიდან რამხელა თანხების ამოღება ხდება, ახლა ამას სახელმწიფო ლატარიაც დაემატა..***

– ეს „112“-იც ხომ ნონსენსია. პრაქტიკულად არაფერში გვახდევინებენ 20 თეთრს. ქვითრების ლატარია კი არა ნაკლებ გრანდიოზულია.

# როგორია მიტინგის შეკრება და დაშლა გაჩეჩილაძისეულად?

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ამომრჩეველთა ლიგას, არის სხვადასხვა ვერსიები, ყველაზე წინადი ვერსიაა, რომ ამ არასამთავრობოს ივანიშვილი აფინანსებს, არის სხვა ვერსიაც, მაგალითად, განიხილება ავსტრიაში მოღვაწე ბიზნესმენი ლევან პირველი, თუმცა ეს მხოლოდ ვერსიებია. ფაქტია, რომ გაჩეჩილაძეს და გუნცაძეს ვიღაც მართავს, თვითნებურად ისინი ვერ მოქმედებენ, რაგინდ ამის დიდი სურვილი ჰქონდეთ, მიზეზი კი მარტივია – ფულია სხვისი, ჰოდა, რაკი ასეა და რაკი ვიცით ცნობილი გამოთქმა: ვინც იხდის მუსიკასაც ის უკვეთავსო, მიტინგების ორგანიზატორი და დამშლელი გაჩეჩილაძე ლევანი, აქ მხოლოდ შემსრულებლის როლშია. გოგა ხაინდრავა ამაყობს იმით, რომ ამ სამეულს აქციების ჩატარება და ხალხის ქუჩაში გაყვანა შეუძლიათ, მაგრამ იქვე საზოგადოების მხრიდან ნდობაზეც საუბრობს, თუ ეს ასეა, მაშინ 26 მაისის აქციებზე, როცა ბურჯანაძეს შველა სჭირდებოდა, რატომ არ მიეშველნენ და არ გაიყვანეს ქუდზე კაცი, მით უმეტეს, რომ ლევან გაჩეჩილაძე თავადაც მიბრძანდა ბურჯანაძესთან, შერიგების გულისამაჩუყებელი სცენაც დადგა და თითების კომბინაციებით პოზირებდა ტელევიზიის შენობის წინ.

ბოლო დროს, გაოცდებით, მაგრამ ლევან გაჩეჩილაძეს აღიზიანებს, როცა მას „გრეჩიხით“ მიმართავენ, ამიტომ, რომ აღარ გაღიზიანდეს, ამ მეტსახელს აღარ ვახსენებთ, მაგრამ რაც უნდა სოლიდური პოლიტიკოსის სახელი ჰქონდეს, მას ის წარსული აქვს, რაც აქვს. დიდი ხნის მანძილზე აღარსად ჩანდა, გამოჩნდა ასევე დიდი ხნის შემდეგ, ივანიშვილი პოლიტიკაში კარგა ხნის შემოსული რომ იყო. ეტყობა არ იყო დარწმუნებული ივანიშვილი მას მიიღებდა თუ არა, ახლა ხმები მისი და ივანიშვილის დაახლოების შესახებ გადაჭარბებული უნდა იყოს. გაჩეჩილაძეების იმიჯი ივანიშვილმა კარგად იცის, შესაბამისად მათი თანაგუნდელების მიზნები და ამოცანებიც ეცოდინება, ამიტომ ფრთხილად არის და მათთან ახლო კონტაქტს არ ამყარებს. იმიტომ კი არა, რომ გაჩეჩილაძეში ის კონკურენტს ხედავს, ეს სასაცილო იქნებოდა ივანიშვილისთვის, არამედ იმიტომ, რომ საკუთარ იმიჯს უფრთხილდება.

# ივანიშვილის მეცხრე არხის ახალი საფრთხე

დასაწყისი მე-3 გვერდზე

საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში. საბოლოოდ დავის მონაწილე მხარეებს შორის მოხდა შეთანხმება და ლიცენზიის მოდიფიცირების გზით ,,მაესტრო“ საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემებით მხოლოდ 2008 წლის ბოლოს დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, სალიცენზიო ვალდებულების შეუსრულებლობამ რამდენიმე თვის განმავლობაში შეაფერხა საკაბელო ტელევიზიის საქმიანობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ათავისუფლებს საკაბელო ქსელით მაუწყებელს ვალდებულებისაგან, კომისიისაგან წინასწარი თანხმობის გარეშე, არ დაიწყოს მაუწყებლობა. აღნიშნული გადაწყვეტილება არის წინგადადგმული ნაბიჯი, რათა მომავალში გამოირიცხოს ტელეკომპანია ,,მაესტროს“ შემთხვევის მსგავსი შემთხვევები, – მიაჩნიათ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ცოტა ხნის წინ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ განცხადება გააკეთა სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმაც.

– საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ გამოაცხადა გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის 2 დეკემბრის სარჩელთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის, 38-ე მუხლის მე-3,მე-4 და მე-5 პუნქტების და 41-ე მუხლის პირველი პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნას საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი და საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზირების ვალდებულება.

ამავდროულად სავალდებულოდ დარჩა ლიცენზირება თანამგზავრული სისტემის გამოყენებით მაუწყებლობისათვის, – აღნიშნა ტუღუშმა.

გიორგი ტუღუშის ინფორმაციით, კონსტიტუციური დავის გადაწყვეტისას სასამართლომ აღნიშნა, რომ რეგულირების სხვადასხვა ფორმების, მათ შორის, საქმიანობის ლიცენზირების უფლებამოსილება სახელმწიფოს მიერ მისი ძირითადი ფუნქციის შესრულებას შეიძლება უკავშირდებოდეს. თუმცა, ამ უფლებამოსილების განხორციელებისას სახელმწიფო კონსტიტუციური უფლებებითა და თავისუფლებებით არის შეზღუდული. უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში არის გამართლებული, როდესაც ჩარევა გარდაუვალია კონსტიტუციით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნებისმისაღწევად, არის მიზნის მიღწევის პროპროციული და ნაკლებად შემზღუდავი საშუალება.

– საკონსტიტუციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ჩვენი არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევა უფლებისათვის ნაკლებად შემზღუდავი საშუალებითაც არის შესაძლებელი, როგორიცაა მარეგულირებელ კომისიაში სამაუწყებლო საქმიანობის დაწყების შემდეგ გარკვეული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების დაწესება.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა გამოცხადებისთანავე, – განაცხადა ტუღუშმა.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციოს ამ გადაწყვეტილებას მალევე გამოეხმაურა მეცხრე არხის ხელმძღვანელი კახა ბექაური. ბექაურის მტკიცებით, საკაბელო მაუწყებლობისთვის ლიცენზიის გაუქმებაში საფრთხე არსებობს. საინფორმაციო სააგენტოებით გავრცელდა მისი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ძირითადად საკაბელო მაუწყებლობას იღებდა რომელიმე კომპანია, შემდეგ მოდიფიცირების გზით იღებდა სატელიტზე მაუწყებლობის უფლებას, ანუ ლიცენზიატი იყო და სატელიტზეც ახერხებდა გასვლას.

– ახლა, ფაქტობრივად, საკაბელო აღარ არის ლიცენზირებადი სფერო და თქვეს, ყველას შეგიძლიათ საკაბელო მაუწყებელი იყოთო. აქ კი საფრთხეა ჩადებული. მარეგულირებელმა ამის შემდეგ შეიძლება სატელიტურ ოპერატორებს უთხრას, ესა თუ ის არხი აღარ არის ლიცენზიატი და მას სატელიტზე მაუწყებლობის უფლება არ აქვსო. ანუ, ერთი შეხედვით გაამარტივეს ყველაფერი, მაგრამ იმავდროულად დარჩა საფრთხე, რომ თუ ლიცენზიატი არ ხარ, შესაძლოა აღარც სატელიტზე გასვლის საშუალება მოგცენ. ეს იმიტომ, რომ სატელიტზე გასვლისთვის ლიცენზიაა აუცილებელი. ჩვენ ეს ლიცენზია მიღებული გვაქვს, მაგრამ საკაბელო ლიცენზიის მოდიფიცირების შედეგად.

არ ვიცი, სახალხო დამცველს ჰქონდა თუ არა გააზრებული, რა მოითხოვა. ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია, რა საფრთხეს შეიცავს ეს ცვლილება. თუ ჩვენ რამე საფრთხე შეგვექმნება სატელიტზე მაუწყებლობის კუთხით, ცალსახად ვამბობ, რომ აქ სახელმწიფო ჩარევას ექნება ადგილი, – აღნიშნა კახა ბექაურმა.

# მივა თუ არა პარლამენტში მერაბიშვილი



## ოპოზიცია პარლამენტში 5 მინისტრს იბარებს

თეა მარხვაიძე

**საპარლამენტო ოპოზიცია პარლამენტში მინისტრებს ისევ იბარებს. მათ შორის ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილსაც. ისინი პარლამენტში წინა თვეშიც იყვნენ დაბარებული. თავიდან მოსვლაზე თანხმობა განაცხადეს. გადამწყვეტ მომენტში კი ოპოზიცია გადააგდეს.**

მათ მაგივრად პარლამენტში მინისტრის მოადგილეები ეკატერინე ზღულაძე და თინა ბურჯალიანი მოვიდნენ. ამის გამო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ ძალიან გაბრაზდა.

მოგვიანებით დეპუტატმა ჯონდი ბაღათურიამ თქვა, რომ იმ დღეს ვანო მერაბიშვილი პარლამენტში იმყოფებოდა და სხდომაზე შეგნებულად არ შევიდა. ნაციონალებმა ამ ინფორმაციას სისულელე უწოდეს. მათი თქმით, მინისტრს არ სცალია. მმართველი გუნდი ძალიან კმაყოფილი იყო იმის გამო, რომ ოპოზიცია გაამწარეს.

გამწარებული ოპოზიცია კი, მოგეხსენებათ, უფრო მომთხოვნი ხდება. მათ მინისტრის მოადგილეების პასუხები არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს. ამიტომაც ზურაბ ადეიშვილს და ვანო მერაბიშვილს ხელმეორედ უხმეს პარლამენტში.

მათ გარდა ფრაქციამ პარლამენტში კიდევ რამდენიმე მინისტრი დაიბარა. სწორადაც მოიქცნენ, ვიღაცა იტყოდა მერაბიშვილის და ადეიშვილის ჯინი სჭირთო.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ 26 აპრილის სამთავრობო საათზე ფრაქცია ერთობა სამართლიანობისთვის პარლამენტში ხუთ მინისტრს იბარებს.

ლაპარაკია შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილზე, იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილზე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრ დიმიტრი შაშკინზე, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ ხათუნა კალმახელიძესა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკოლოზ რურუაზე.

დეპუტატებს მინისტრებისთვის დასასმელი კითხვები უკვე მზად აქვთ. როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ დიმიტრი ლორთქიფანიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მინისტრებს უკვე გადაეგზავნათ 26 კითხვა.

ფრაქციის ამ ახირებაზე გუშინდელ ბიუროს სხდომაზეც ისაუბრეს. ფრაქციას პარლამენტის თავმჯდომარე უკვე ინფორმირებული ჰყავდათ. თავის მხრივ სპიკერი მინისტრებსაც დაუკავშირებია.

მოუხელთებელი ამჯერადაც ზურაბ ადეიშვილი აღმოჩნდა. წინა თვეში ის უკრაინაში იმყოფებოდა. მან ამიტომაც ვერ შეძლო სამთავრობო საათზე პარლამენტში მისვლა. თუმცა თბილისშიც რომ ყოფილიყო, პარლამენტში მაინც არ მივიდოდა. ყოველ შემთხვევაში, მმართველი გუნდი ასე ამბობს.

როგორც ბიუროს სხდომაზე ითქვა, მთავრობის წევრების მისვლის ამბავი დღეს გაირკვევა. ამასთან დაკავშირებით განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაკეთდება.

ფრაქციის წევრები ამბობენ, რომ მინისტრებთან ძალიან მნიშვნელოვანი კითხვები აქვთ. დიდი ხმაურია მოსალოდნელი ვანო მერაბიშვილისთვის გაგზავნილ ერთ კითხვაზე. ფრაქციის წევრებს აინტერესებთ, რას ფიქრობს შს მინისტრი გივი თარგამაძის ქურდებთან კავშირზე.

– გივი თარგამაძის სატელეფონო საუბრების ფაქტები ე.წ. კანონიერ ქურდებთან და ბელორუსელი ოპოზიციონერის მკვლელობის მუქარების შეკვეთა, რასაც ის ოფიციალურად არ უარყოფს – ეს ასაბუთებს მის კავშირს ქურდულ სამყაროსთან. კანონი ავალდებულებს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ გამოიძიოს ეს დანაშაული და გამოძიების შედეგებს შესაბამისი მსვლელობა მისცეს. რეჟიმმა ეს არც ერთხელ არ გააკეთა. გესმით თუ არა, ამით აღიარებთ, რომ უზენაესი ხელისუფლება თვითონ არის დამნაშავე? – მიმართავენ ფრაქციის წევრები მინისტრს.

ამ სატელეფონო საუბარში გივი თარგამაძე ვინმე კონსტანტინს ესაუბრებოდა. რომელიც როგორც გაირკვა, კოტე ყიფიანია. ის ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის ვატო ყიფიანის უფროსი ძმა გახლავთ. საუბარი უკრაინაში მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნების დროს შედგა. მაშინ საქართველომ უკრაინაში რამდენიმე ასეული რჩეული ზონდერი გააგზავნა. ისინი იულია ტიმოშენკოს უნდა მიხმარებოდნენ.

„მედიანიუსის“ ცნობით, პარლამენტში სამთავრობო საათზე მისვლის შემთხვევაში შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე კომენტარის გაკეთება მოუწევს. ფრაქციის –– „ერთობა სამართლიანობისთვის“ –– წევრები ვანო მერაბიშვილს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის ცნობილ განცხადებას უცვლელად წაუკითხავენ და შესაბამის განმარტებებსაც მოსთხოვენ.

– გახსოვს, ვანო, სააკაშვილმა დიდი ხვეწნის შემდეგ რომ დამიყოლია, ბოკერიასთან მივსულიყავი, რომ მისთვის ქვეყნისთვის ერთი ძალიან სარისკო და საბედისწერო გადაწყვეტილების მიღება გადამეფიქრებინა? ეს 2008 წლის აგვისტომდე წელიწად-ნახევრით ადრე ხდებოდა. მაშინაც იგივე სცენარი განიხილებოდა, რაც თქვენ 2008 წლის აგვისტოში განახორციელეთ. ბოკერია დაჟინებით ითხოვდა ქართული ჯარების შეყვანას სამაჩაბლოში და იმედი ჰქონდა, რომ რუსი სამხედროები გაიწეოდნენ და ქართულ ჯარს ცხინვალში უომრად შეუშვებდნენ. მე მაშინ შევძელი, ბოკერია დამერწმუნებინა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლებოდა. სააკაშვილთან ერთად შენც ესწრებოდი ამ შეხვედრას და მე მახსოვს შენი აღფრთოვანება, რომელსაც ჩემი მისამართით გამოხატავდი. ორმოც წუთში ბოკერიას დავუმტკიცე, რომ ის, რის გაკეთებასაც ის გეგმავდა, წმინდა წყლის პროვოკაცია და ავანტიურა იყო. ბოკერიამ უკან დაიხია და დასახულ გეგმაზე უარი თქვა, მაგრამ უცებ სააკაშვილმა თქვა: „ხომ შეიძლება, თვითონ რუსებმა შემოგვთავაზონ ამის გაკეთება, მაშინ რა ვქნათო?“ მე გავაფრთხილე და ვუთხარი, „სანამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას არ გააკეთებს, რომც გაჩუქოთ ეს ტერიტორია, ხელი არაფერს არ ახლოთ“– მეთქი. მაშინ კი შევძელი დროებით შემეჩერებინა ის საბედისწერო გადაწყვეტილება, მაგრამ მოგვიანებით მაინც იგივე სცენარით იმოქმედეთ და რა შედეგიც მივიღეთ 2008 წლის აგვისტოში, სახეზეა, –– ესაა ნაწყვეტი ბიძინა ივანიშვილის ცნობილი განცხადებიდან, რომელსაც ოპოზიციონერი დეპუტატები მერაბიშვილს წაუკითხავნ.

– ადასტურებთ თუ არა, რომ ბიძინა ივანიშვილის ეს განცხადება სიმართლეს შეესაბამება?, – ნათქვამია მინისტრის სახელზე გაგზავნილ ერთ-ერთ კითხვაში.

შეგახსენებთ, რომ ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ სამთავრობო საათზე ხუთი მინისტრის, მათ შორის, ვანო მერაბიშვილის, მისვლას ითხოვს. მინისტრების სახელზე 26 შეკითხვა არის მომზადებული. გაიმართება თუ არა სამთავრობო საათი 26 აპრილს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, ხვალ გახდება ცნობილი.

პარლამენტში სამთავრობო საათზე მისვლის შემთხვევაში კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკოლოზ რურუას კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე თურქეთთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტზე განმარტების გაკეთება მოუწევს. ლაპარაკია დოკუმენტის პროექტზე, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას შეეხება. ამის სანაცვლოდ კი თურქეთი ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აშენებას ითხოვს.

როგორც ფრაქციის – „ერთობა სამართლიანობისათვის“ –– წევრების მიერ რურუასათვის გაგზავნილ წერილშია ნათქვამი, გაურკვეველია, რატომ არ იყენებს საქართველო იმავე გზას, რაც სომხეთმა გამოიყენა თავისი კულტურული მემკვიდრეობის აღდგენისათვის?

– რატომ არ გააცანით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ თურქეთის სახელმწიფოსთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი საქართველოს პატრიარქს, საქართველოს პარლამენტს და ქართულ საზოგადოებას? გთხოვთ, გაგვაცნოთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ თურქეთის სახელმწიფოსთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი და რატომ არ იყენებს საქართველო იმავე გზას, რაც სომხეთმა გამოიყენა თავისი კულტურული

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ვახტანგ ყოლბაია ამომრჩეველთა ლიგის“ ინიციატივას მიესალმება

## ჩატარდება თუ არა ალტერნატიული „კარდაკარი“

თეა მარხვაიძე

რამდენიმე თვეში საქართველოში არჩევნები ჩატარდება. ამ არჩევნებს ქვეყნისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ არჩევნებს რიგი პოლიტპარტიებისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც არის, რომ მისთვის ყველა დიდი ამბით ემზადება. ამის პარალელურად ყველა აღიარებს, რომ მოქმედი საარჩევნო კოდექსით არჩევნების მოგება შეუძლებელია.

არჩევნებში, განსაკუთრებით კი ქართულ არჩევნებში, გადამწყვეტ როლს თამაშობს საარჩევნო სიები. დიდი მცდელობის მიუხედავად, ჯერ ვერ გავარკვიეთ, როგორ იპარებიან ამ სიებში მკვდარი სულები. ზოგიერთი მკვდარი იმდენად აქტიურია, გარდაცვალებიდან ათეული წლების შემდეგაც კი არ იშლის არჩევნებში მონაწილეობას.

საარჩევნო სიების დასადგენად რამდენიმე კომისია შეიქმნა. ასეთი კომისია ახლაც მოქმედებს. რომელიც სახელმწიფო კომისიის სტატუსს ატარებს. კომისიას სათავეში ოპოზიციონერი მამუკა კაციტაძე უდგას.

ამის მიუხედავად, ამ კომისიას მაინც უნდობლობას უცხადებენ. კომისიას არც „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“ ენდობა. მათ ოპოზიციას რამდენიმე თვის წინ შესთავაზეს ალტერნატიული კომისიის შექმნა. რომელსაც დამოუკიდებლად უნდა დაედგინა ამომრჩეველთა ზუსტი სიები.

მათ წინადადებას თითქმის არავინ გამოხმაურებია. ამ მიმართულებით ამ დღეებში თავი „ამომრჩეელთა ლიგამ“ გამოიღო. ეს ლიგა 28 აპრილს აქციის მოწყობას აპირებდა. ბოლო მომენტში აქცია უარყვეს და ამომრჩეველთა სიების დაზუსტება გადაწყვიტეს.

მათ ინიციატივას საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ვახტანგ ყოლბაიამ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალური მდივანი, პარტიის სახელით „ამომრჩეველთა ლიგის“ ინიციატივას მიესალმება. მოიტანს თუ არა შედეგს „ამომრჩეველთა ლიგის“ აქტიურობა, რას აპირებს თავად პარტია, ამის შესახებ ვახტანგ ყოლბაია „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ვახტანგ ყოლბაია:**

– ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც ჩვენი პარტია მიესალმა „ამომრჩეველთა ლიგის“ ინიციატივას ალტერნატიული „კარდაკარის“ ჩატარებასთან დაკავშირებით. ამ ინიციატივით ჩვენ რამდენიმე თვის წინ გამოვედით. საგანგებოდ მივმართეთ ოპოზიციურ პარტიებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს. გვინდოდა, რომ ამ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩართულიყვნენ. ჩვენ ალტერნატიული კომისიის შექმნა მოვითხოვეთ, იმიტომ, რომ არსებულ კომისიას არავინ ენდობა.

***– რატომ არ ენდობიან?***

– 2010 წლის არჩევნებზეც შეიქმნა კომისია. რომელსაც სიები უნდა დაეზუსტებინა. ამ კომისიის დასაფინანსებლად 1 200 000 ლარი გამოიყო. ეს ფული შეიჭამა. ამომრჩეველთა სიები კი ისევ დასაზუსტებელია. საზოგადოებაში მიიჩნევენ, რომ მამუკა კაციტაძის ხელმძღვანელობით შექმნილი კომისია ამომრჩევლების მოტყუებასა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულის მითვისებას ისახავდა მიზნად.

***– თქვენ რომ კომისიის შექმნას ითხოვთ, ის რატომ იქნება სანდო?***

– ჩვენი ინიციატივა იყო, რომ ჯანსაღ და დამოუკიდებელ ძალებს – საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით შეექმნათ სტრუქტურა, რომელიც „კარდაკარს“ ჩაატარებდა.

***– „ამომრჩეველთა ლიგა“ ჩაატარებს სანდო „კარდაკარს“?***

– ჩვენ გვიხარია, რომ ისინი ამის გაკეთებას აპირებენ. მართალია მათ ჩვენი ინიციატივა გააჟღერეს, მაგრამ მათ ინიციატივას მაინც მივესალმებით.

***– თქვენს ინიციატივას პარტიები არ გამოხმაურებიან. „ამომრჩეველთა ლიგის“ ინიციატივას თუ გამოეხმაურებიან?***

– ამის შესახებ მე ვერ გიპასუხებთ, ეს იმ პარტიებს უნდა ჰკითხოთ. მე პირადად ვიმედოვნებ, რომ დამოუკიდებელი ორგანიზაციები ამ იდეას მხარს დაუჭერენ. ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

***– „დემოკრატიული მოძრაობა“ მიიღებს ამ პროცესში მონაწილეობას?***

– ეს იყო ჩვენი ინიციატივა და როგორ შეიძლება მას მხარი არ დავუჭიროთ. საჭიროების შემთხვევაში ჩვენ ამ პროცესში ჩავერთვებით.

***– რას ნიშნავს საჭიროების შემთხვევაში?***

– ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასურველია ამ პროცესს სათავეში ავტორიტეტული, დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაუდგნენ. ხოლო პარტიები მათ მხოლოდ დაეხმარნენ.





# ყურადღება

პროექტი „კარდაკარი“ დაიწყო.

„კარდაკარი“ მთელი საქართველოს მასშტაბით 20 აპრილიდან 10 ივნისამდე განხორციელება და 11100 რეგისტრატორი გადაამოწმებს ამომრჩეველთა სიას.

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ ამომრჩეველთა სიის დაზუსტებისათვის.

თუ ამ პერიოდის განმავლობაში თქვენთან არ მოვა კარდაკარის რეგისტრატორი ან მოვა და კვლავ დაგრჩებათ კითხვები, დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 262-32-32

ახლავე გადაამოწმეთ თქვენი მონაცემები

კომისიის ვებ გვერდზე: www.sia.gov.ge

ან sms საშუალებით ნომერზე: 2012

# ჩაერთე!!!

ერთად დავაზუსტოთ ამომრჩეველთა სია

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისია

გულიკო ბალაძე

# პატიმარს ყური მოაჭრეს

## რა ხდება საქართველოს ციხეებში

**წამებისა და ცემის ფაქტები ციხეებში ჩვეულებრივი მოვლენაა. პატიმარი მურმან კალანდია ცემის შედეგად გარდაიცვალა, კახაბერ ბარათაშვილს ჯერ სცემეს, შემდეგ კი ოპერაცია გაუკეთეს. პატიმარმა ტარიელ საყვარელიძემ ყური მოიჭრა თუ მოაჭრეს. ავთანდილ ალუბელაშვილი 7 აპრილს ციხეში ტუბერკულოზით გარდაიცვალა. ასეთი ფაქტები ჩვენს ციხეებში ბევრია, ანუ დღემდე ქართულ ციხეებში გრძელდება პატიმრების ცემა-წამება.**

თუმცა, ოფიციოზი მაქსიმალურად ცდილობს, ყველაფერი გაასაიდუმლოოს, მედიისთვის ხელმიუწვდომელი გახადოს და საქართველოს ციხეები ოაზისად წარმოგვიდგინოს.

საქართველოს ციხეებში პატიმრები გაურკვეველ მდგომარეობაში იღუპებიან. პატიმრების ადვოკატებს კი საშუალება არ ეძლევათ გამოამზეურონ ციხეების კედლებს იქით მომხდარი უამრავი საზარელი ფაქტი.

დღეს ციხეები ისეა ჩაკეტილი, როგორც არასოდეს. ამიტომ ვერ ხერხდება ციხეების მონიტორინგი უფლებადამცველების მხრიდან, რაც ხელს უწყობს ციხეებში გამეფებულ განუკითხაობას.

ციხეებში პატიმრების წამებამ და არაადამიანურმა მოპყრობამ მასობრივი სახე მიიღო. დღე არ გავა, რომ პატიმარს არ სცემონ. პატიმრის წამება სხვა პატიმრებისათვის ჭკუის სასწავლებლად ხდება. მიზეზი კი თუნდაც გადაჩურჩულება ან რაიმე აუცილებელის მოთხოვნაა, რასაც ციხის ადმინისტრაცია ძალას უპირისპირებს. ამდენად, საქართველოს ციხეებში პატიმრებს უმოწყალოდ სცემენ, განმკითხავი კი არავინაა.

ძალიან ბევრ შემთხვევაში ვერ ხერხდება პატიმრის გარდაცვალების ნამდვილი მიზეზის დადგენა.

ამის შესახებ ვერც პატიმრის ოჯახის წევრები ბედავენ ხმის ამოღებას. ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე, პატიმრების გაურკვეველ მდგომარეობაში გარდაცვალებაზე, წამებისა და ცემის ფაქტებზე საუბრობს უფლებადამცველი **გიორგი თევზაძე**.

***— პატონო გიორგი, ციხეებში ცემა-წამება რაიმე კონკრეტული მიზეზით ხდება თუ ეს არის დაშინების ფორმა?***

— ციხეებში პატიმრების ცემა-წამება სწორედ რომ დაშინების ფორმაა. პატიმრების ცემისა და წამების ფაქტები ბევრია. ერთ ფაქტს გეტყვით. რუსთავის მე-17 დაწესებულებაში 31 წლის ილგარ მამედ-ზადეს სცემეს. მის ცემაში ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად დირექტორიც მონაწილეობდა. ილგარ მამედ-ზადეს ადვოკატი თედო კობახიძე 3 საათი უკანონოდ ჰყავდათ დაკავებული.

***— ძალიან ხშირად აცხადებთ, რომ ციხეში პატიმრების 80% დაავადებულია და არ ხდება მძიმედ დაავადებული პატიმრების გათავისუფლება, ხშირად ხდება, რომ დაავადებული პატიმრები ციხეებში იღუპებიან?***

— ძალიან ხშირად დაავადებულ პატიმრებს უარს ეუბნებიან გათავისუფლებაზე. ამიტომ ასეთი კატეგორიის პატიმრები სიცოცხლეს ციხის კედლებში ამთავრებენ. ციხეში გარდაცვალება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამის შესახებ ძალიან ბევრჯერ მითქვამს, მაგრამ ხელისუფლება უფლებადამცველების რეკომენდაციებს არ ითვალისწინებს. დაავადებული პატიმრების დროზე ადრე გათავისუფლება აღარ ხდება. ამიტომ დაავადებული პატიმარი სიკვდილამდე ციხეში რჩება. ხელვაჩაურში სასამართლო იხილავდა პატიმრის, ვინმე კარამიანცის სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც 260-ე მუხლის მეორე ნაწილით იყო გასამართლებული. მას ავთვისებიანი კიბო ჰქონდა მეოთხე სტადიაში და ბათუმის ციხეში იყო მოთავსებული. პროკურორი კი მოსამართლეს ეუბნებოდა, შენ მიიღე გადაწყვეტილებაო, მოსამართლე კი — პროკურორს. ასე ისინი ერთმანეთს პინპონგს ეთამაშებოდნენ. შემდეგ მათ წერილი მისწერეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს. მას სასამართლომ დაავალა პატიმრის გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტა. საბოლოო ჯამში კიბოთი დაავადებული პატიმარი ციხეში გარდაიცვალა.

ერთი კვირის წინ ქსნის კოლონიაში ტუბერკულოზით დაავადებული ავთანდილ აბუბელაშვილი გარდაიცვალა, მას არც უმკურნალეს და არც ციხიდან გაათავისუფლეს. ამიტომაც დადგა ლეტალური შედეგი.

პატიმარი კახაბერ ბარათაშვილი სასჯელს იხდის 2004 წლის 31 დეკემბრიდან. მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს შეფარდებული. როგორც მისმა ინტერესების დამცველმა კახაბერ მუმლაძემ გაავრცელა ინფორმაცია, პატიმრის მდგომარეობა გაუარესდა თირკმელების უკმარისობის გამო. ამიტომ ის მე-8 საპყრობილეში გადაიყვანეს. 28 ნოემბერს, ღამით, დაეწყო მწვავე შეტევები, რის გამოც ადმინისტრაციის წარმომადგენლებს პატიმარი გაუყვანიათ, ჩაუყვანიათ მორგში და ხელ-ფეხშეკრულ მდგომარეობაში სცემდნენ, ვედროებით წყალს ასხამდნენ და გაუპატიურებით ემუქრებოდნენ. ამის შემდეგ ნაწამებ პატიმარს იძულებით დააწერინეს, თითქოს ტკივილების გამო დაზიანება სხეულზე თავად მიიყენა. 29 ნოემბერს 16 საათზე კახაბერ ბარათაშვილს უთხრეს, რომ გამზადებულიყო საოპერაციოდ. პატიმრის ადვოკატის ინფორმაციით, მას ჰქონდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ მეთოდით ჯალათებმა სცადეს ჩადენილი დანაშაულის კვალის დაფარვა.




***— ახლა რა დღეშია ეს პატიმარი?***

— ჯერჯერობით, ბარათაშვილი ისევ პატიმრობაშია და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ადვოკატმაც არაფერი იცის.

***— რა იცით ზუგდიდის ციხეში გარდაცვლილი მურმან კალანდიას შესახებ?***

— პატიმარი მურმან კალანდიას ზუგდიდის ციხეში სცემეს. მას ხელი სიგარეტით ჰქონდა ამომწვარი, შუბლი და ცხვირი გატეხილი, ხოლო თითი მომტვრეული. ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. დღემდე ოჯახის წევრებმა ვერ გაარკვიეს გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი. პატიმრის ოჯახის წევრები მოითხოვდნენ ციხის ადმინისტრაციასთან შეხვედრას და დამოუკიდებელ ექსპერტიზას, მაგრამ დღემდე უარს ეუბნებიან. გარდაცვლილი პატიმრის მურმან კალანდიას და აცხადებს, რომ მისი ძმა ცემით მოკლეს.

ქუთაისის ციხეში გარდაიცვალა დაავადებული პატიმარი კახაბერ ხაჭაპურიძე, ის საპყრობილეში დაავადდა, მაგრამ მისი დროზე ადრე გათავისუფლების საკითხი არ გადაწყდა.. კახაბერ ხაჭაპურიძე ციხის სამკურნალო დაწესებულებაში გაურკვეველ მდგომარეობაში გარდაიცვალა.

პატიმარი მამუკა ზეიკიძეც ციხეში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. როგორც ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებენ, პატიმარს დენმა დაარტყა. პატიმრის გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი დღემდე უცნობია, მას არ ჩატარებია ექსპერტიზა.

***— რამდენადაც ვიცი, პატიმარი სოსო წიკლაური ტუბერკულოზის მძიმე ფორმითაა დაავადებული, ის საპატიმროდან ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, როგორ მოხდა მისი გათავისუფლება?***

— პატიმრის ახლობლები არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მართავდნენ აქციებს და მძიმედ დაავადებული პატიმრის გათავისუფლებას მოითხოვდნენ, გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ სოსო წიკლაური გაათავისუფლეს საზოგადოებრივი აქტივობის და ზეწოლის შედეგად.

***— თუ გაირკვა პატიმარმა ტარიელ საყვარელიძემ ყური მოიჭრა თუ მოაჭრეს?***

— რაც შეეხება პატიმარ ტარიელ საყვარელიძეს, ის 2007 წელს განზრახ მკვლელობისთვის დააპატიმრეს და 2008 წელს გაასამართლეს. იგი გლდანის საპყრობილედან რუსთავის მეორე კოლონიაში გადაიყვანეს. როგორც მისმა ადვოკატმა ვალოდია ტაბაღუამ განაცხადა, საყვარელიძეს უშუალოდ რუსთავის კოლონიის დირექტორმა შოთა თოლორდავამ სასტიკად სცემა, პატიმარს ტვინის შერყევა აღენიშნებოდა, ყბა ჰქონდა მოტეხილი და ნეკნები ჩამტვრეული. ადვოკატს პატიმართან არ უშვებდნენ. მსჯავრდებულს გასამართლების შემდეგ მერვედ სცემეს. ერთ-ერთი ვერსიით, მოკლულის ახლობლები გავლენიანი ხალხია და მათ ინტერესებში შედის პატიმრის ცემა. პატიმარ საყვარელიძის ფსიქიკური მდგომარეობა მძიმეა. მან ყური მოიჭრა და შეჭამა. თუმცა, დაუდგენელია, პატიმარმა ყური თავად მოიჭრა თუ მოაჭრეს. გაურკვეველია. მიუხედავად პატიმრის მძიმე მდგომარეობისა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ის მაინც საპატიმროშია და არა ფსიქიატრიულში.

პატიმარ გიორგი ავალიანს ბრალი აქვს წაყენებული სსკ 210-ე მუხლის I ნაწილით. მას შეუფარდეს პატიმრობა 1 წლისა და 6 თვის ვადით. პატიმარს გათიშული აქვს ორივე თირკმელი. ამჟამად გიორგი ავალიანი მოთავსებულია ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. არსებობს შესაბამისი სამედიცინო დასკვნა. პატიმრის ადვოკატი სასჯელის გადავადებას ითხოვდა, მაგრამ უარი უთხრა სასამართლომ. უარი უთხრა ასევე ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიამაც. ასეთი მიდგომა აქვთ დაავადებული პატიმრების მიმართ სასამართლოსა და პენიტენციალურ სტრუქტურებს.

***— როგორც აცხადებენ, ყველაზე მძიმე მდგომარეობა გლდანის მე-8 დაწესებულებაშია. რა მონაცემები გაქვთ გლდანის მე-8 დაწესებულებაში პატიმრების მდგომარეობის შესახებ?***

— გლდანის მე-8 საპყრობილეში ციხის ზოგიერთი თანამშრომლის მხრიდან პატიმრების მიმართ ადგილი აქვს დამამცირებელ მოპყრობას. მე-8 საპყრობილეში პატიმრებს რკინის საწოლებზე სძინავთ თუ მათ ოჯახებს არ აქვთ საშუალება, იყიდონ ლეიბები. ასევე საგანგაშო ინფორმაციები მოგვდის რუსთავის მე-6 საპყრობილედან, სადაც პატიმრებისთვის ასევე გაუსაძლისი პირობებია შექმნილი, რასაც ემატება ცემა და არაადამიანური მოპყრობა. გლდანის მე-8 საპყრობილეში პატიმართა დასჯის ახალი მეთოდი შეიმუშავეს, კერძოდ, ხმამაღალი საუბრისათვის სჯიან საკანში მოთავსებულ ყველა პატიმარს, რაც იმაში გამოიხატება, რომ არ აძლევენ უფლებას, მაღაზიაში ბარათზე დარიცხული თანხით პროდუქტები შეისყიდონ. ასეთი დასჯის მეთოდი არც ერთი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. ეს არის პატიმრის დასჯის თვითნებური მეთოდი, რაც წამების ერთ-ერთ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს. ფაქტობრივად, პატიმრები ციხის „ბალანდაზე" რჩებიან. ის პატიმრები კი, ვინც მარხვაზე არიან, ან ჯანმრთელობის პრობლემა აქვთ, სრულიად მშიერი რჩებიან. როგორც ჩანს, სასჯელაღსრულების დაწესებულების მესვეურებს „რეფორმატორული აზრები" არ ელევათ. ასეთი მიდგომა თავისთავად ამძიმებს პატიმრების ისედაც დამძიმებულ მდგომარეობას. ამგვარი ვითარების არსებობას ხელს უწყობს დაუსჯელობის სინდრომი.

***— ციხეებში პატიმრების გარდაცვალების ძირითადი მიზეზი მაინც ტუბერკულოზია?***

— პატიმრების გარდაცვალების ძირითადი მიზეზი ტუბერკულოზით დაავადება ხდება. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ ტუბერკულოზი განკურნებადია, თუკი მისი დროული ჰოსპიტალიზაცია მოხდება. სამწუხაროდ, ბევრი ფაქტია, რომ ჯანმრთელი პატიმარი შედის ციხეში და იქიდან დაავადებული გამოდის, ან კიდევ მომაკვდავი რჩება იზოლირებული და ბევრჯერ ციხეში კვდებიან. პატიმრების გარდაცვალების ძირითადი მიზეზი მაინც ციხის ადმინისტრაციის გულგრილობაა, ციხეში ჯანდაცვის არარსებობა, ხშირ შემთხვევაში უდიერი მოპყრობა, ცემა და წამებაა.

***— ბოლო დროს რამდენი პატიმარი გარდაიცვალა?***

— 2011 წელს ექვს თვეში 77 პატიმარი გარდაიცვალა. მიმდინარე წლის 4 თვეში კიდევ რამდენიმე პატიმარი გარდაიცვალა. კიდევ ვინ იცის, სასჯელაღსრულების სისტემის უყურადღებობის გამო, რამდენ დაავადებულ პატიმარს ემუქრება დაღუპვის საფრთხე, ვინაიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო ნაწილს არ გააჩნია სათანადო მედიკამენტები და პატიმრების ოჯახის წევრებს სახლიდან უწევთ მედიკამენტების მიწოდება დაავადებული პატიმრისთვის. ამას ემატება არასათანადო და არაადამიანური მოპყრობა ციხის ადმინისტრაციის მხრიდან, რასაც თან ერთვის სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების მიმართ გამეფებული დაუსჯელობის სინდრომი.

ეს ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანაში არ არსებობს პოლიტიკური ნება, სასჯელაღსრულების სისტემაში დაისვას იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც უხეშად არღვევენ პატიმრის უფლებებს.

# მემარჯვენეები სოფლებში სიარულს განაგრძობენ

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების" ლიდერები საქართველოს რეგიონებში მოგზაურობას განაგრძობენ.

ამჯერად „მემარჯვენეები" გორის რაიონის სოფლების მოსახლეობას ხვდებიან.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის დავით გამყრელიძის განცხადებით, გორის რაიონის სოფლების მოსახლეობას უამრავი ყოფითი და სოციალური პრობლემა აქვს.

აგვისტოს ომის შემდეგ სოფლებს სარწყავი წყალი არ მიეწოდებათ, ხეხილის ნარგავები თითქმის მთლიანად განადგურებულია, მოსავალი აღარ მოდის და ადგილობრივი მოსახლეობა შიმშილის ზღვარზე იმყოფება. მდინარე ლიახვზე აგებული წყალსაცავი ყველა სოფელს მაინც ვერ ამარაგებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების დახმარებით სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტი ხორციელდება, რომელმაც უკვე წელს ნაწილობრივ მაინც უნდა დააკმაყოფილოს გორელთა მოთხოვნა სარწყავ წყალზე, მაგრამ საჭიროა დამატებითი წყალსაქაჩების მოწყობა, რომ პრობლემა მთლიანად მოიხსნას, — განაცხადა გამყრელიძემ.

ახლების ლიდერის განცხადებით, შიდა ქართლის 50-ზე მეტ სოფელს სარწყავი წყლის პრობლემა აქვს.

— პრეზიდენტმა პარლამენტში საანგარიშო გამოსვლის დროს პირობა დადო, რომ მიმდინარე წელს 18 ათასი ჰექტარი მიწა მოირწყვება და 38 ჰექტარზე დრენაჟი დამონტაჟდება. მიხეილ სააკაშვილის დაპირებები ახალი არაა. ჯერ კიდევ 2007 წელს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოში სარწყავი წყლის გარეშე არც ერთი მეტრი მიწა არ დარჩებოდა. სპეციალური პროგრამა შეიქმნა, რომლისთვისაც დაახლოებით 50 მილიონი ლარი გამოიყო. რამდენად მოაგვარა ამან საირიგაციო სისტემაში არსებული პრობლემები, ჯერ კიდევ საკითხავია, რადგან სარწყავი წყლის არარსებობა ასეულობით სოფლის მთავარ გასაჭირს წარმოადგენს. ვნახოთ, ამჯერად დაპირება როგორ შესრულდება, — აღნიშნა გამყრელიძემ. „მემარჯვენეები" ხელისუფლებას მოუწოდებენ, შიდა ქართლის სოფლების წყალმომარაგება დროულად მოაგვარონ და მოსახლეობას როგორც სასმელი, ისე სარწყავი წყლის პრობლემა მოუხსნან.




# მივა თუ არა პარლამენტში მერაბიშვილი

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მემკვიდრეობის აღდგენისათვის?, — მიმართავენ მინისტრს ოპოზიციონერი დეპუტატები.

ამ შეთანხმების განსაჯაროება სხვა ოპოზიციურმა ძალებმაც მოითხოვეს. ხელისუფლება კი თავისას არ იშლის. რაც ჭორების გავრცელების საბაბი ხდება.

კითხვები ოპოზიციას შაშკინთანაც მრავლად აქვს. ფრაქცია პარლამენტში მის მიყვანას კარგა ხანია რაც ცდილობს. დეპუტატები მას კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებენ. ჯონდი ბაღათურიამ მთელი რიგი სქემები წარმოადგინა, რაზეც ხელისუფლებას რეაგირება არ ჰქონია.

კითხვების გარეშე არც ხათუნა კალმახელიძეს დატოვებენ. მისი უწყების გარშემო სერიოზული სკანდალები ხდება. თავად კალმახელიძე გვიმტკიცებს, რომ მის უწყებაში ყველაფერი კარგად არის. ოპოზიციას ამაზე სხვა შეხედულებები აქვს.

ოპოზიცია ამბობს, რომ მთავრობის წევრებთან მწვავე კითხვები ექნებათ. ეს მინისტრები, თუ პარლამენტში მოვიდნენ, თავს არავის დააჩაგვრინებენ. მათ ადვოკატობას სიამოვნებით იკისრებს უმრავლესობა. ისინი მკერდით გადაეფარებიან მთავრობას. განსაკუთრებით ალბათ მერაბიშვილსა და ადეიშვილზე იზრუნებენ.

მმართველი გუნდის წევრები შეეცდებიან ენაკვიმატები იყვნენ, რათა თვალში მოხვდნენ მერაბიშვილს. საარჩევნო სიას ის აკომპლექტებს და ასეთ დროს ერთი სიტყვაც მნიშვნელოვანია ხოლმე.

სამთავრობო საათთან დაკავშირებით ხმაურიანი განცხადებები დღესაც გაკეთდება. თუ რასაკვირველია კვორუმი შედგა. 12 აპრილის სხდომის დაწყება მხოლოდ მესამე ცდაზე მოხერხდა.

ბაქრაძე თავის კოლეგებს კარგად იცნობს და იცის, რომ დღესაც შეიძლება დააგვიანდეთ მისვლა. მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად მან ფრაქციის თავმჯდომარეები გააფრთხილა და სთხოვა სხდომაზე ფრაქციის წევრების მისვლა უზრუნველყონ. სხდომა 12 საათზე დაიწყება. ალბათ იმიტომ, რომ დეპუტატებს ძალიან ადრე არ მოუწიოთ ადგომამ.

გუშინდელ ბიუროს სხდომაზე კიდევ ერთი საინტერესო ამბავი გახდა ცნობილი. საპარლამენტო უმრავლესობამ სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან დაკავშირებით ჯონდი ბაღათურიას ინიციატივის ავტორობა გადაწყვიტა.

„ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ" კანონპროექტი ჯონდი ბაღათურიას ჯერ კიდევ გასულ წელს ჰქონდა ინიცირებული და პარლამენტმა მას პრინციპების დონეზე მხარი დაუჭირა და პირველი მოსმენით მიიღო კიდეც.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა მაშინ აღნიშნეს, რომ მათთვის მისაღები იყო პროექტის ის მუხლი, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას უბილეთოდ მგზავრობისთვის დაკისრებული ჯარიმებისგან და საურავებისგან ათავისუფლდება.

თუმცა, დეპუტატებიც და მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილიც აცხადებდნენ, რომ პროექტში სხვა მიუღებელი საკითხები იყო და მის მეორე მოსმენით განხილვას, ინიციატორთან შეთანხმების შემდეგ გააგრძელებდნენ.

როგორც ბიუროს სხდომაზე გია ხუროშვილმა განაცხადა, ინიციატორთან შეთანხმება ვერ შედგა და ამიტომ, მთავრობა პროექტის განხილვის გაგრძელებაზე რეკომენდაციას არ იძლევა. მისი თქმით, პროექტის მიხედვით შეღავათი კონტრაბანდისტებსაც უნდა შეეხოს, რაც მიუღებელია.

— სუბიექტთა წრე დასახვეწია, ინიციატორისგან კი დახვეწილი პროექტი ვერ მივიღეთ, — განაცხადა ხუროშვილმა და დასძინა, რომ სოციალურად დაუცველ პირებთან მიმართებაში იგივე პროექტი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტსაც აქვს მომზადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველო

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

ბანკი: სს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - -საქართველო"
თარიღი: 31-мар-12

საბალანსო უწყისი

ცხრილი N1
ლარებით

| N | აქტივები | საანგარიშებო პერიოდი ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | წინა წლის შესაბამისი პერიოდი ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნაღდი ფული | 589,952 | 254,303 | 844,256 | 421,548 | 61,039 | 482,587 |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 1,418,648 | 6,799,236 | 8,217,884 | 389,563 | 3,871,069 | 4,260,633 |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 5,190,610 | 1,341,521 | 6,532,131 | 31,704 | 4,424,677 | 4,456,381 |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | | | 0 | | | 0 |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | | | 0 | | | 0 |
| 6.1 | მთლიანი სესხები | 25,984,543 | 49,513,772 | 75,498,315 | 8,581,614 | 29,164,687 | 37,746,301 |
| 6.2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | -3,081,010 | -6,161,298 | -9,242,308 | -1,577,085 | -3,333,340 | -4,910,425 |
| 6 | წმინდა სესხები | 22,903,534 | 43,352,473 | 66,256,007 | 7,004,529 | 25,831,347 | 32,835,876 |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 353,610 | 653,699 | 1,007,309 | 64,760 | 263,482 | 328,242 |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | | | 0 | | | 0 |
| 9 | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 54,000 | | 54,000 | 54,000 | | 54,000 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 7,974,950 | | 7,974,950 | 8,182,326 | | 8,182,326 |
| 11 | სხვა აქტივები | 148,386 | 1,443,376 | 1,591,762 | 77,663 | 30,327 | 107,990 |
| 12 | მთლიანი აქტივები | 38,633,691 | 53,844,609 | 92,478,300 | 16,226,093 | 34,481,942 | 50,708,035 |
| | ვალდებულებები | | | | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 3,700,025 | 33,220,061 | 36,920,086 | 1,947,556 | 9,573,656 | 11,521,212 |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 7,495,097 | 2,554,368 | 10,049,465 | 2,157,395 | 3,038,371 | 5,195,765 |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 0 | 0 | 0 | 78,206 | 8,772 | 86,978 |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | | 10,472,606 | 10,472,606 | | 12,808,402 | 12,808,402 |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | | | 0 | | | 0 |
| 18 | ნასესხები სახსრები | | 11 | 11 | | 2,403,600 | 2,403,600 |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 0 | 165,298 | 165,298 | 292 | 308,646 | 308,938 |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 210,447 | 2,069,872 | 2,280,319 | 2,587 | 76,013 | 78,600 |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | | 11,620,000 | 11,620,000 | | 8,529,500 | 8,529,500 |
| 22 | მთლიანი ვალდებულებები | 11,405,569 | 60,102,215 | 71,507,784 | 4,186,037 | 36,746,958 | 40,932,995 |
| | სააქციო კაპიტალი | | | | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 22,688,000 | | 22,688,000 | 12,000,000 | | 12,000,000 |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | | | 0 | | | 0 |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | | | 0 | | | 0 |
| 26 | საემისიო კაპიტალი | | | 0 | | | 0 |
| 27 | საერთო რეზერვები | | | 0 | | | 0 |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | -1,744,549 | | -1,744,549 | -2,224,960 | | -2,224,960 |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 27,064 | | 27,064 | | | 0 |
| 30 | სულ სააქციო კაპიტალი | 20,970,515 | | 20,970,515 | 9,775,040 | | 9,775,040 |
| 31 | მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი | 32,376,084 | 60,102,215 | 92,478,300 | 13,961,077 | 36,746,958 | 50,708,035 |

გენერალური დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

ბანკი: სს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - -საქართველო"
თარიღი: 31-мар-12

მოგება - ზარალის უწყისი

ცხრილი N2
ლარებით

| N | | საანგარიშებო პერიოდი ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | წინა წლის შესაბამისი პერიოდი ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საპროცენტო შემოსავლები | | | | | | |
| 1 | საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით | 145,792 | 100,494 | 246,285 | 55,052 | 31,152 | 86,204 |
| 2 | საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან | 706,292 | 1,055,577 | 1,761,869 | 203,370 | 588,872 | 792,241 |
| 2.1 | ბანკთაშორისი სესხებიდან | | | 0 | | | 0 |
| 2.2 | ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან | 158,945 | 613,429 | 772,374 | 22,630 | 564,020 | 586,651 |
| 2.3 | ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან | | | 0 | | | 0 |
| 2.4 | სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | | | 0 | | | 0 |
| 2.5 | მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 334,466 | 340,940 | 675,106 | 132,436 | 68,779 | 201,215 |
| 2.6 | სამთომოპოვებით და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან | | | 0 | | | 0 |
| 2.7 | ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | | 7,074 | 7,074 | | 3,157 | 3,157 |
| 2.8 | ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან | -5,647 | 41,088 | 35,441 | 30,580 | (53,705) | -23,124 |
| 2.9 | დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 218,528 | 53,046 | 271,573 | 17,723 | 6,619 | 24,342 |
| 3 | შემოსავლები ჯარიმებიდან/საურავებიდან კლიენტებისათვის მიცემული სესხების მიხედვით | 618 | 920 | 1,538 | | | |
| 3 | საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან | | | 0 | - | - | 0 |
| 4 | სხვა საპროცენტო შემოსავლები | 45,059 | 76,320 | 121,379 | 55,357 | 30,058 | 85,415 |
| 5 | მთლიანი საპროცენტო შემოსავალი | 897,760 | 1,233,311 | 2,131,071 | 313,778 | 650,082 | 963,860 |
| | საპროცენტო ხარჯები | | | | | | |
| 6 | მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 90 | | 90 | 2,511 | | 2,511 |
| 7 | ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | | 231,843 | 231,843 | | 295,954 | 295,954 |
| 8 | ბანკების დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 1,607 | 264,207 | 265,814 | 605 | 69,734 | 70,339 |
| 9 | საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები | | | 0 | | | 0 |
| 10 | ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები | | 145,281 | 145,281 | 1,093 | 227,172 | 228,265 |
| 11 | სხვა საპროცენტო ხარჯები | | | 0 | | | 0 |
| 12 | მთლიანი საპროცენტო ხარჯები | 1,697 | 641,332 | 643,029 | 4,209 | 592,859 | 597,069 |
| 13 | წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 896,063 | 591,980 | 1,488,042 | 309,569 | 57,223 | 366,792 |
| | არასაპროცენტო შემოსავლები | | | | | | |
| 14 | წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით | 91,036 | 1,107,933 | 1,198,969 | 77,624 | 239,904 | 317,527 |
| 14.1 | საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით | 124,225 | 1,122,556 | 1,246,781 | 115,494 | 279,511 | 395,005 |
| 14.2 | საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით | 33,189 | 14,623 | 47,812 | 37,870 | 39,608 | 77,478 |
| 15 | მიღებული დივიდენდები | | | 0 | | | 0 |
| 16 | მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან | | | 0 | | | 0 |
| 17 | მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | | | 0 | | | 0 |
| 18 | მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან | 381,157 | | 381,157 | 212,279 | | 212,279 |
| 19 | მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 82,719 | | 82,719 | (110,156) | | -110,156 |
| 20 | მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან | 428 | | 428 | - | | 0 |
| 21 | სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები | | | 0 | | | 0 |
| 22 | სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 2,697 | 22,723 | 25,420 | 49 | 8,922 | 8,970 |
| 23 | მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები | 558,038 | 1,130,656 | 1,688,694 | 179,794 | 248,825 | 428,620 |
| | არასაპროცენტო ხარჯები | | | | | | |
| 24 | სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები | | | 0 | | | 0 |
| 25 | ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები | 1,963 | - | 1,963 | 5,664 | 3,877 | 9,541 |
| 26 | ბანკის პერსონალის ხარჯები | 379,127 | | 379,127 | 367,049 | | 367,049 |
| 27 | ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯები | 1,056 | | 1,056 | 12,567 | | 12,567 |
| 28 | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 82,671 | | 82,671 | 66,033 | | 66,033 |
| 29 | სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 187,016 | 8,817 | 195,833 | 175,481 | 18,986 | 194,467 |
| 30 | მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები | 651,833 | 8,817 | 660,650 | 626,795 | 22,863 | 649,657 |
| 31 | წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი | -93,795 | 1,121,839 | 1,028,044 | -447,000 | 225,963 | -221,037 |
| 32 | წმინდა მოგება დარეზერვებამდე | 802,268 | 1,713,818 | 2,516,086 | -137,431 | 283,185 | 145,754 |
| 33 | ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 2,291,151 | X | 2,291,151 | 372,119 | X | 372,119 |
| 34 | ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | | X | 0 | | X | 0 |
| 35 | ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 824,430 | X | 824,430 | 103,848 | X | 103,848 |
| 36 | მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 3,115,581 | 0 | 3,115,581 | 475,967 | 0 | 475,967 |
| 37 | მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე | -2,313,313 | 1,713,818 | -599,495 | -613,398 | 283,185 | -330,213 |
| 38 | მოგების გადასახადი | | | 0 | | | 0 |
| 39 | მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ | -2,313,313 | 1,713,818 | -599,495 | -613,398 | 283,185 | -330,213 |
| 40 | გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები) | | | 0 | | | 0 |
| 41 | წმინდა მოგება | -2,313,313 | 1,713,818 | -599,495 | -613,398 | 283,185 | -330,213 |

გენერალური დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

ბანკი: სს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - -საქართველო"
თარიღი: 31-мар-12

ბალანსგარეშე ანგარიშების უწყისი

ცხრილი N3
ლარებით

| N | | საანგარიშებო პერიოდი ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | წინა წლის შესაბამისი პერიოდი ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პირობითი ვალდებულებები | 39,631,661 | 69,019,835 | 108,651,496 | 44,718,796 | 29,108,027 | 73,826,824 |
| 1.1 | აკრედიტივები და ინკასომენტები | | | 0 | | | 0 |
| 1.2 | გაცემული გარანტიები | 3,087,751 | 8,554,884 | 11,642,635 | 2,829,056 | 2,764,213 | 5,593,269 |
| 1.3 | მიღებული გარანტიები | 295,100 | 28,713,518 | 29,008,618 | | 7,926,570 | 7,926,570 |
| 1.4 | გირავნობის უზრუნველყოფის სახით გაცემული აქტივები | | | 0 | | 0 | 0 |
| 1.5 | გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები | 36,248,811 | 31,751,433 | 68,000,244 | 41,889,740 | 18,417,245 | 60,306,985 |
| 1.6 | სხვა პირობითი ვალდებულებები | | | 0 | | | 0 |
| 2 | ფორმალური ვალდებულებები | 10,845 | 712,034 | 722,879 | 15,249 | 806,156 | 821,404 |
| 2.1 | აღებული ფინანსური ვალდებულებები | 10,845 | 712,034 | 722,879 | 15,249 | 806,156 | 821,404 |
| 2.2 | მესამე მხარის მიერ მიღებული ფინანსური ვალდებულებები | | | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2.3 | მისაღებად მოსალოდნელი ფასიანი ქაღალდები | | | 0 | | | 0 |
| 2.4 | გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები | | | 0 | | | 0 |
| 2.5 | ნაღდ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები | | | 0 | | | 0 |
| 2.6 | ფორვარდული სავალუტო ოპერაციები | | | 0 | | | 0 |
| 2.7 | დანარჩენი ვალდებულებები | | | 0 | | | 0 |
| 3 | სხვა ვალდებულებები | 3,087,751 | 8,554,884 | 11,642,635 | 2,829,056 | 2,764,213 | 5,593,269 |
| 3.1 | ტრასატის ვალდებულება ბანკის მიმართ | | | 0 | | | 0 |
| 3.2 | კლიენტის ვალდებულება | 3,087,751 | 8,554,884 | 11,642,635 | 2,829,056 | 2,764,213 | 5,593,269 |
| 3.3 | მესამე მხარის კლიენტის ვალდებულება ბანკის მიმართ | | | 0 | | | 0 |
| 4 | ვალდებულებები ბანკში შესანახავად განთავსებულ ქონებაზე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4.1 | ძვირფასი ლითონები | | | 0 | | | 0 |
| 4.2 | ფასიანი ქაღალდები | | | 0 | | | 0 |
| 4.3 | სხვა ქონება | | | 0 | | | 0 |
| 5 | საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5.1 | საპროცენტო განაკვეთების სვოპების ძირითადი თანხა | | | 0 | | | 0 |
| 5.2 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფორვარდული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 5.3 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფიუჩერსული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 5.4 | ოფციონები | | | 0 | | | 0 |
| 6 | კონტრაქტები საქონელზე და სააქციო კაპიტალის შესახებ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6.1 | სვოპების ძირითადი თანხა | | | 0 | | | 0 |
| 6.2 | ფორვარდული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 6.3 | ფიუჩერსული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 6.4 | ოფციონები | | | 0 | | | 0 |
| 7 | გაუნაღდებელი დოკუმენტები | 6,574,524 | 0 | 6,574,524 | 9,492,019 | 0 | 9,492,019 |
| 7.1 | ვადიანი გაუნაღდებელი დოკუმენტები გადამხდელის მიზეზით | 6,574,524 | | 6,574,524 | 9,492,019 | | 9,492,019 |
| 7.2 | ვადიანი გაუნაღდებელი დოკუმენტები ბანკის მიზეზით | | | 0 | | | 0 |
| 7.3 | გაუნაღდებელი საწესდებო ფონდი | | | 0 | | | 0 |
| 8 | ზარალში ჩამოწერილი ვალები | 3,961,824 | 5,401,720 | 9,363,544 | 2,513,854 | 4,860,024 | 7,373,878 |
| 8.1 | სესხებზე მიუღებელი პროცენტები 31.12.2000-მდე | | | 0 | | | 0 |
| 8.2 | სესხებზე მიუღებელი პროცენტები 01.01.2001-დან | 3,961,824 | 5,401,720 | 9,363,544 | 2,513,854 | 4,860,024 | 7,373,878 |
| 8.3 | ზარალში ჩამოწერილი ვალები 31.12.2000-მდე | | | 0 | | | 0 |
| 8.4 | ზარალში ჩამოწერილი ვალები 01.01.2001-დან | | | 0 | | | 0 |
| 8.5 | ზარალში ჩამოწერილი სხვა აქტივები | | | 0 | | | 0 |
| 9 | სხვა ფასეულობა და დოკუმენტები | 21,252 | 0 | 21,252 | 18,185 | 0 | 18,185 |
| 9.1 | გაუგზავნელი ფულადი ამონაწერები | | | 0 | | | 0 |
| 9.2 | მცირეფასიანი ინვენტარი | 18,659 | | 18,659 | 15,125 | | 15,125 |
| 9.3 | მკაცრი აღრიცხვის ბლანკები | 2,593 | | 2,593 | 3,060 | | 3,060 |
| 9.4 | სპეკულატარის ანაზღაურება | | | 0 | | | 0 |
| 10 | სულ | 53,287,857 | 83,688,473 | 136,976,331 | 59,587,160 | 37,538,419 | 97,125,580 |

გენერალური დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

სს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - -საქართველო"
თარიღი: 31-мар-12

ცხრილი N4

ეკონომიკური მაჩვენებლები

| | | საანგარიშებო პერიოდი | წინა წლის შესაბამისი პერიოდი |
|---|---|---|---|
| | კაპიტალი | | |
| 1 | პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი ≥ 8% | 37,59% | 32,61% |
| 2 | საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი ≥ 12% | 56,77% | 49,29% |
| 3 | რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები / მთლიან აქტივებთან | 61,43% | 60,09% |
| 4 | ფულადი დივიდენდები / წმინდა მოგებასთან | | |
| | მოგება | | |
| 5 | მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 8,15% | 7,43% |
| 6 | მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 2,46% | 4,60% |
| 7 | საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან | 9,31% | 1,97% |
| 8 | წმინდა საპროცენტო მარჟა | 5,69% | 7,43% |
| 9 | უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) | -2,29% | -2,55% |
| 10 | უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) | -11,18% | -13,19% |
| | აქტივების ხარისხი | | |
| 11 | უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან | 11,05% | 16,73% |
| 12 | სშდრ / მთლიან სესხებთან | 12,24% | 13,01% |
| 13 | უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან | 65,58% | 77,27% |
| 14 | უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან | 58,22% | 68,00% |
| 15 | მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი | 13,92% | 7,33% |
| | ლიკვიდობა | | |
| 16 | ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან | 16,86% | 18,14% |
| 17 | უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან | 84,05% | 89,77% |
| 18 | მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან | 50,79% | 33,14% |

გენერალური დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

სს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - -საქართველო"
თარიღი: 31-мар-12

ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ

ცხრილი N5

| | | |
|---|---|---|
| | სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა | |
| 1 | ემილ მუსტაფაევი | |
| 2 | ახმეტ ეჩანი | |
| 3 | რაშად გაჯიევი | |
| 4 | | |
| 5 | | |
| | დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა | |
| 1 | სამირ ველიევი | |
| 2 | ალი ჰაკვერდიევი | |
| 3 | შაკირ მამედოვი | |
| 4 | ნელი წიკლაური | |
| 5 | | |
| | საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით | |
| 1 | ღსს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი" | 75% |
| 2 | ღსს "აზერბაიჯანის ინდუსტრიული ბანკი" | 12.5% |
| 3 | ივანე ჩხარტიშვილი | 12.5% |
| 4 | | |
| 5 | | |
| | ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%–ს ან მეტს წილების მითითებით | |
| 1 | აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების სახელმწიფო კომიტეტი | 37.65% |
| 2 | ზეინაბ კონიარი | 12.13% |
| 3 | ივანე ჩხარტიშვილი | 12.5% |
| 4 | | |
| 5 | | |

გენერალური დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

# აზერბაიჯანის თეატრი საქართველოში ჩამოდის

ეკა ირემაშვილი

აზერბაიჯანის სამედ ვურგუნის სახელობის სახელმწიფო რუსული თეატრი თბილისში გასტროლზე ჩამოდის. როგორც „რუსული კლუბის“ პიარ-მენეჯერმა ნინო წითლანაძემ განაცხადა, თბილისში დაგეგმილი გასტროლი ეძღვნება გამოჩენილი აზერბაიჯანელი მწერლის, განმანათლებლის, რეფორმატორის, აზერბაიჯანელი დრამატურგიის ფუძემდებლის მირზა ფატალი ახუნდზადე (ახუნდოვის) 200 წლისთავს.

— მიუხედავად იმისა, რომ მირზა ფათალი ახუნდზადე (ახუბდოვი) ნუხაში დაიბადა, ის საქართველოში მოღვაწეობდა. მას მიღებული ჰქონდა ტრადიციული სპარსულ-არაბული განათლება. მუშაობდა თბილისში, მეფისნაცვლის კანცელარიაში, აღმოსავლური ენების თარჯიმნად. ლიტერატურული მოღვაწეობა 30-იან წლებში დაიწყო. წერდა ლექსებს, კრიტიკულ ნარკვევებს. დაწერა ექვსი კომედია და მოთხრობა „მოტყუებული ვარსკვლავები“, რომლებითაც აზერბაიჯანულ ლიტერატურაში კრიტიკულ რეალიზმს ჩაუყარა საფუძველი. 60-იანი წლების რუსული ლიტერატურის კრიტიკამ მას „თათარი მოლიერი“ უწოდა. ქართულად ახუნდოვის კომედია „ლენქორანის ხანის ვეზირი“ პირველად თარგმნა აკაკი წერეთელმა და იმავე წელს პიესა დაიდგა სცენაზე, რითაც დაიწყო აზერბაიჯანული პროფესიული თეატრის ისტორია. ახუნდოვის კომედიები ცალკე წიგნად პირველად თბილისში გამოიცა. მისმა მოღვაწეობამ დიდი როლი შეასრულა აზერბაიჯანულ და ახლო აღმოსავლეთის ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. მას ეკუთვნის თანამედროვე აზერბაიჯანული ანბანის შექმნა. მირზა ფატალი ახუნდზადე თბილისში 66 წლის ასაკში გარდაიცვალა, იგი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზეა დაკრძალული, — განმარტა „რუსული კლუბის“ პიარ მენეჯერმა ნინო წითლანაძემ.

აზერბაიჯანის თეატრი სპექტაკლს გრიბოედოვის თეატრში გამართავს, თუმცა მანამდე აზერბაიჯანელი სტუმრები ქართველ კოლეგებთან ერთად ყვავილებით შეამკობენ ჰეიდარ ალიევის ძეგლს, შედეგ კი ეწვევიან მირზა ფატალი ახუნდზადეს საფლავს ბოტანიკურ ბაღში.

— 24 აპრილს თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის დიდ დარბაზში ბაქოელი მსახიობები ქართველ მაყურებელს წარმოუდგენენ საპრემიერო სპექტაკლს „ბოტანიკოსი მუსიო ჟორდანი და დერვიში მასთალ შაჰი, ჯადოქარი“. პირველად უცხოელი მაყურებლებიდან ამ სპექტაკლს ზუსტად თბილისელები ნახავენ და ეს გასაკვირი არ არის, ვინაიდან თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიდი ნაწილი ახუნდოვმა თბილისში გაატარა, — განაცხადა ნინო წითლანაძემ.

სპექტაკლის რეჟისორია აზერბაიჯანის სახალხო არტისტი, დიდების ორდენის კავალერი ალექსანდრე შაროვსკი. მთავარ როლებს ასრულებენ აზერბაიჯანის სახალხო არტისტები მაბუდ მაგერამოვი და საფა მირზაგასანოვი, აზერბაიჯანის დამსახურებული არტისტები ნატალია შაროვსკაია, ფუად ოსმანოვი, მელექ აბასზადე. სპექტაკლს დაესწრებიან საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, კულტურისა და სპორტის გამოჩენილი მოღვაწეები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები.

— ბაქოს თეატრი თბილისში საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბის“ მოწვევით და აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ჩამოდის, — აღნიშნა რუსული კლუბის პიარ მენეჯერმა.

აზერბაიჯანული თეატრის გასტროლის მასპინძლობამდე გრიბოედოვის თეატრში პრემიერა გაიმართა. თეატრის დიდი სცენაზე წარმოდგენილი იყო სპექტაკლი „ფეხმარდი. ცხენის ამბავი“, რომლის დამდგმელი რეჟისორია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ავთანდილ ვარსიმაშვილი. წარმოდგენა რეჟისორმა ლევ ტოლსტოის მოთხრობის მიხედვით დადგა.

სპექტაკლი მიეძღვნა სახალხო არტისტის, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქის, თეატრისა და კინოს ლეგენდის ევგენი ლებედევის 95 წლის იუბილეს. საპრემიერო ჩვენებისთვის მისმა შემოქმედებითმა ჯგუფმა სპეციალურ სტუმრად მოიწვია ევგენი ლებედევის ქვრივი და გიორგი ტოვსტონოგოვის და — ნათელა ტოვსტონოგოვა.

სპეციალურად თბილისური პრემიერისთვის თეატრის ფოიეში გაიმართა ფოტოგამოფენა, რომელიც ეძღვნება ევგენი ლებედევის ცხოვრებას და შემოქმედებას. პროექტის ორგანიზატორობა ითავა საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირმა „რუსული კლუბი“ და თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა რუსულმა დრამატულმა თეატრმა.

— ევგენი ლებედევი გასული საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან მუშაობდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის წამყვან მსახიობად, ხოლო მოგვიანებით ლენინგრადის დიდ დრამატულ თეატრში გააგრძელა მოღვაწეობა, რომელიც ახლა გიორგი ტოვსტონოგოვის სახელობის თეატრის სახელით არის ცნობილი. ზუსტად ამ თეატრის სცენაზე გამოჩენილმა ქართველმა რეჟისორმა გიორგი ტოვსტონოგოვმა 1975 წელს დადგა სპექტაკლი „ცხენის ამბავი“, რომელშიც ფეხმარდის — მთავარი როლი — ევგენი ლებედევმა შეასრულა, — განაცხადა რუსული კლუბის წარმომადგენელმა ნინო წითლანაძემ.

რუსული კლუბი კულტურულ ღონისძიებებს ახორციელებს და სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს. მათ პროგრამაშია როგორც სპექტაკლების პრემიერებია, ასევე ლიტერატურული კონკურსები, ხსოვნის საღამოები და კონცერტები. რუსული კლუბის მიერ ჩატარდა კონკურსი ახალგაზრდა პოეტებისთვის მთელი კავკასიის რეგიონში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ახალგაზრდა შემოქმედთა რეალური მხარდაჭერა და წახალისება. ამ კონკურსმა გააერთიანა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ახალგაზრდა პოეტები, რომელთა ასაკიც 17-დან 30 წლამდეა. კონკურსის მიზანს წარმოადგენდა ინტერესის გაღვივება ეროვნული და რუსული ისტორიისადმი, კულტურისადმი, ენისადმი, კულტურული ტრადიციების ჩამოყალიბებისადმი მთელ კავკასიაში. კონკურსის პირობების თანახმად ახალგაზრდა პოეტებს თემატიკა თავად უნდა აერჩიათ. საკონკურსო ნამუშევრები შეაფასა საერთაშორისო ჟიურიმ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოეტი და მთარგმნელი ელენა ისაევა, პოეტი და მთარგმნელი ელენა ივანოვა-ვერხოვსკაია, ჟურნალის „ახალგაზრდობა“ მთავარი რედაქტორი ვალერი დუდარევი. რეგიონალურ საკონკურსო ტურებს კი კურატორობას უწევდნენ აზერბაიჯანელი პოეტი და მთარგმნელი ალინა თალიბოვა, სომეხი პოეტი და მთარგმნელი ალბერტ ნალბანდიანი და ქართველი პოეტი და მთარგმნელი ვლადიმერ სარიშვილი. საუკეთესოები კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა და გრიბოედოვის თეატრში გამართულ დასკვნით საღამოზე დააჯილდოვა.

„რუსულმა კლუბმა“ ჩაატარა მუსიკალური საღამო „სიყვარულის მარათონი“, რომელიც კომპოზიტორ ანდრეი პეტროვის ხსოვნას მიეძღვნა. საღამოზე მისმა ორგანიზატორებმა კომპოზიტორის მეუღლე ნატალია პეტროვაც მოიწვიეს და ისიც თბილისში სპეციალურად ამ კონცერტისთვის ჩამოვიდა. საღამოში მონაწილეობდნენ თამრიკო ჭოხონელიძე, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, ვერიკო ტურაშვილი, ნუგზარ კვაშალი, ია შუღლიაშვილი, ბორის და სოფო ბედიები, ლაშა რამიშვილი. კონცერტზე შესრულდა კომპოზიტორის მიერ შექმნილი როგორც ყველასთვის კარგად ნაცნობი, ასევე უცნობი სიმღერები. მათ შორის ინსტრუმენტალური და ვოკალური ნაწარმოებები.

ანდრეი პეტროვის დებიუტი შედგა კინოფილმში „ადამიანი ამფიბია“ მთლიანობაში კი კომპოზიტორმა დაწერა მუსიკა 80-მდე ფილმისათვის. მათ შორის არის ისეთი აღიარებული ფილმები, როგორიცაა „სამსახურებრივი რომანი“, „შემოდგომის მარათონი“, „უფრთხილდი ავტომობილს“, „შავყურა თეთრი ბიმი“, „გარაჟი“. საღამოს მუსიკალური ხელმძღვანელი ქართველი მომღერალი ირმა სოხაძე იყო. საღამოს იდეის ავტორი და პროდიუსერი კი რუსული კლუბის ხელმძღვანელი ნიკოლაი სვენტიცკი.

— ჩვენი კლუბი ცდილობს კიდევ უფრო გააღრმავოს ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობები, ამიტომაც მთელი წლის განმავლობაში კიდევ არაერთი პროექტის განხორციელებას ვაპირებთ, რომელიც ჩვენს ღონისძიებებზე მოსულ საზოგადოებას არნახულ სიამოვნებას მიანიჭებს, — აღნიშნა ნინო წითლანაძემ.

# სვეტიცხოვლის ტაძრის გრაფიკული დოკუმენტაცია შექმნილია

ეკა ირემაშვილი



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და იუნესკოს თანადაფინანსებით სვეტიცხოვლის ტაძრის გრაფიკული დოკუმენტაცია პირველად შეიქმნა. როგორც სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი განმარტავს, ძეგლის ციფრული კვლევისას ტაძრის მდგომარეობის ზუსტი დიაგნოსტიკური სურათი და დღემდე არსებულ დოკუმენტებისგან განსხვავებული საინტერესო და უცნობი დეტალები გამოვლინდა. სვეტიცხოვლის ტაძრის გრაფიკული დოკუმენტაციის პრეზენტაცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში გაიმართა.

— ახალი თანამედროვე სტანდარტებით შექმნილი გრაფიკული დოკუმენტაცია — ტაძრის ციფრული ანაზომები, ინტერიერისა და ექსტერიერის დაზიანებების ზუსტი იდენტიფიკაცია-შეფასება — სვეტიცხოვლის კონსერვაციის დაგეგმვის, ძეგლზე ჩასატარებელი პრიორიტეტული ეტაპების განსაზღვრისა და კომპლექსური რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებისთვის მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, — ნათქვამია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

2012 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო აგრძელებს მუშაობას სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის კონსერვაცია-რესტავრაციის მიმართულებით. უახლოეს მომავალში დაგეგმილია კონსერვაცია-რესტავრაციის იტალიელი სპეციალისტებისა და ინჟინრების ვიზიტი, რომლებიც ქართველ სპეციალისტებთან ერთად, ახალ დოკუმენტებზე დაყრდნობით, სვეტიცხოვლის გამაგრებით-სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებს წარმართავენ.

— სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი 1994 წლიდან მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ირიცხება, ტაძრის კვლევა-დოკუმენტირებასა და კონსერვაცია-რესტავრაციას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამის მიუხედავად, დღემდე არ არსებობდა ტაძრის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, განახლებული გრაფიკული დოკუმენტაცია. საბჭოთა პერიოდის არქივში დაცული მასალები კი 90-იან წლებში მომხდარი ხანძრის შედეგად განადგურდა. 2010 წელს იუნესკოს 35-ე გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა 2010-2011 წლებში სვეტიცხოვლის აღმშენებლობის 1000 წლის იუბილეს იუნესკოს ეგიდით აღნიშვნის წინადადება და გამოყო თანადაფინანსება სააგენტოს მიერ წარდგენილი ზემოაღნიშნული პროექტის განსახორციელებლად. წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში მოწვეულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტაციის დარგში იკომოსის საერთაშორისო კომიტეტის წევრი უილიამ ბლეიკი. მისი ხელმძღვანელობით, სამუშაო პროცესი წარმართულ იქნა ქართველი სპეციალისტების მიერ, რომლებმაც პროექტის ფარგლებში გაიარეს სწავლება აზომვების თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების, მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების კუთხით, — ითქვა პროექტის პრეზენტაციაზე.

სვეტიცხოვლის გარდა, სარესტავრაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს უფლისციხის მუზეუმ ნაკრძალშიც. მიმდინარე სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა პირადად დაათვალიერა. სააგენტოს დირექტორი და სპეციალისტები უფლისციხეს ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ესტუმრნენ, რომელსაც, იუნესკოსა და იკომოსის გადაწყვეტილებით, უკვე წლებია მთელი მსოფლიო აღნიშნავს. სააგენტოს 2012 წლის გეგმით, უფლისციხეში კლდის არქიტექტურის კონსერვაციის პარალელურად, ძეგლზე მთლიანად განახლდება ინფრასტრუქტურა.

— კლდეში ნაკვეთი კომპლექსის განახლება ერთდროულად სამი მიმართულებით — ძეგლის დაცვითი, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ახალი სამუზეუმო სივრცის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების მიმართულებებით განხორციელდება. სამშენებლო სამუშაოები უფლისციხეში უკვე დაწყებულია. მიმდინარეობს მუზეუმის რეკონსტრუქცია, მუზეუმის წყალმომარაგების სისტემის, კანალიზაციის, ვენტილაცია-კონდიცირებისა და ელექტროსამონტაჟო სამუშაოები. საკონფერენციო დარბაზის მიმდებარედ მოეწყობა საჩრდილობელი პავილიონი. არქეოლოგიური გადახურვის მიმდებარედ გამაგრდება გალავნის კედელი, არქეოლოგიური ნაშთებისა და სახაბაზოს დაზიანებული გადახურვა შეიცვლება ახლით. გვირაბში და საექსკურსიო მარშრუტის შესასვლელში ტურისტების უსაფრთხოებისთვის მოეწყობა დამატებითი კიბეები და ამავე ტერიტორიაზე კეთილმოეწყობა საფეხმავლო ბილიკი. დამთვალიერებელთა ინტერესის გათვალისწინებით, დამონტაჟდება გარე ელექტრო განათება. მოეწყობა სარწყავი სისტემა, დასასვენებელი სკამები, სანაგვე ურნები და საინფორმაციო დაფები, — ამბობს ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი განმარტავს, ძეგლზე სამუშაოები ხორციელდება აშშ „დემარკის“ მიერ შემუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, მაღალხარისხიანი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების გამოყენებით და პროექტით გათვალისწინებული მასალების სპეციფიკაციის დაცვით. განსაკუთრებული ყურადღება კი ხის მასალის სახეობას, ხარისხს და ტენიანობის მაჩვენებელს ექცევა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საგანმანათლებლო და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურმა ამ სფეროში ბავშვების კიდევ უფრო აქტიურად ჩართვა გადაწყვიტა. ამ სამსახურის მიერ მომზადდა მორიგი საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამა „კულტურული მემკვიდრეობა ბავშვებს“.

— პროგრამა განსაზღვრულია

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8
[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ. ფასი 40.000 აშშ დოლარი. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ქირავდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გაზისა და წყლის გამათბობლები, ავეჯი) ბინა, ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძ-ღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# საქართველომ ლიცენზია თხუთმეტამდე შეავსო

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრმა ზურაბ დათუნაშვილმა ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა. 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ქართველ-



მა ბულგარულ სალიცენზიო ტურნირზე საწადელს სამი შეხვედრის მოგებით მიაღწია – უნგრელი პეტერ ბაკშის, ჩეხი ტომაშ სობეცკისა და რუმინელი იონელ პუსკასუს ძლევით ფინალში გავიდა და ლონდონის საგზური გამოიმუშავა. საჩემპიონო შეხვედრაში კი დანიელ მარკ ოვერგაარდ მადსენს სძლია და ლიცენზიასთან ერთად ოქროს მედლითაც გაიხარა.

საქართველოს ნაკრებს უკვე 15 ოლიმპიური ლიცენზია აქვს მოპოვებული. დათუნაშვილის გარდა, ჯერჯერობით, ლონდონის ოლიმპიადაზე შემდეგი სპორტსმენები გაემგზავრებიან:

ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), ქრისტინე ესებუა (მშვილდოსნობა), მანუჩარ ცხადაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მალხაზ ზარქუა (თავისუფალი ჭიდაობა), დავით მარსაგიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), დავით ხუციშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), დავით მოძმანაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), გია მაჭავარიანი(ძალოსნობა), რაულ ცირეკიძე(ძალოსნობა), ირაკლი თურმანიძე(ძალოსნობა), ლუბა გოლოვინა (ბატუტტზე ხტომა), მერაბ თურქაძე(კრივი), ლადო ხინჩეგაშვილი(თავისუფალი ჭიდაობა), გიორგი გოგშელიძე(თავისუფალი ჭიდაობა).

# დინამოს მერვე ფრე



**დილა – დინამო 0:0**

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი

**დილა:** სკენდერი, ალადაშვილი, სალუქვაძე, ინწკირველი, მეგრელიშვილი, კაშია, ბეჭვაია, ახალკაცი (გოგინაშვილი 46), ს.გურული, კახელიშვილი, ვაწაძე

**დინამო:** ლორია, ოდიკაძე, თომაშვილი, ხიზანეიშვილი, რეხვიაშვილი, ძარია (კოშკაძე 88), ხმალაძე, ალვარო, რობერტინიო (კვეკვესკირი 88), გოგუა, ჩისკო (პაპავა 89)

**გაძევება:** გოგუა (52)

ტურის ცენტრალურ მატჩს არაერთი ცნობილი სახე ესწრებოდა, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი თემურ ქეცბაია და თურქული „ქაისერისფორის" მწვრთნელი შოთა არველაძე.

„დინამომ" კი ზედიზედ მე-8 მატჩი დაასრულა ფრედ, რაც უკვე მეტისმეტია. მას შემდეგ რაც გუნდები რვიანებად დაიყვნენ, საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა ერთი მატჩის მოგებაც ვერ მოახერხა.

პირველ ტაიმში სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ და პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტიც მათ შექმნეს – გოგიტა გოგუამ საჯარიმოს გარედან დაარტყა და ოდნავ ააცილა. ტაიმის შუაში კი, მარინ სკენდემა აუღო რობერტინიოს, ხოლო კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს გიორგი რეხვიაშვილმა დაუხვედრა თავი და ააცილა.

ყველაზე რეალური შანსი ესპანელ მიკელ ალვაროს ჰქონდა, რომელიც დავით ოდიკაძის პასის შემდეგ პირისპირ დარჩა სკენდერთან, მაგრამ ხორვატმა მეკარემ აჯობა. ტაიმის ბოლოს გორელებსაც ჰქონდათ შანსი, როდესაც მათე ვაწაძე ურტყამდა თავით, თუმცა გიორგი ლორიამ ბურთი ხელებში შეიმაგრა.

მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა და ეს გოგიტა გოგუას გაძევების შემდეგ აისახა. გოგუა კი, არბიტრმა თორნიკე გვანცელაძემ, სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გააძევა. ასე დარჩა „დინამო" 10 კაცით და იძულებული გახდა, შედარებით უკან დაეხია.

72-ე წუთზე, ვაწაძე თავურით ახლო კუთხეში აგზავნიდა ბურთს, თუმცა, სიზუსტემ უმტყუნა. მალევე, ალვარომ შორიდან ძლიერად დაარტყა და სკენდერმა კუთხურზე მოიგერია.

ბოლო ათ წუთში უფრო გააქტიურდნენ გუნდები. ჩისკო და რობერტინიო მწვავედ თამაშობდნენ, მაგრამ რეალურ ხიფათამდდე საქმე არ მიდიოდა.

83-ე წუთზე კი, მასპინძლებს იდეალური შანსი მიეცათ გასამარჯვებლად – სანდრო გურულმა მოხდენილი პასით ვაწაძე ლორიას პირისპირ დატოვა, თუმცა, მასპინძელთა ფორვარდის დარტყმული მეკარემ მოიგერია. ბოლოს, ლორიამ შოთა კაშიას შორიდან დარტყმულზეც მოახდინა რეაგირება.

### მატჩის შემდეგ

**რამაზ მუმლაძე:**

– ვფიქრობ, „დინამომ" კარგი თამაში აჩვენა. პირველ ტაიმში უპირატესობას ვფლობდით, შესვენების შემდეგაც კარგად დავიწყეთ, თუმცა, 10 კაცით დავრჩით. ეს ფაქტი რომ არა, ვფიქრობ, მოგება შეგვეძლო.

**თემურ შალამბერიძე:**

– პირველ ტაიმში შებოჭილები ვიყავით, შემდეგ კი, გუნდი უფრო ლაღად ათამაშდა. ზედიზედ ბევრი მატჩი ჩავატარეთ და ამიტომაც იყო გადაღლის მომენტი. „დინამო" ისეთი გუნდია, მათთან უკანმოუხედავად შეტევების გაძლიერება და გარისკვა არ შეიძლება. ამიტომაც, გოგუას გაძევების შემდეგ, ტაქტიკა არ შეგვიცვლია.

**ზესტაფონი – კოლხეთი 2:1**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძე

1:0 საჯაია (13), 2:0 აფციაური (36), 2:1 დათუნაიშვილი (63)

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, თ.ღონღაძე, ხიდეშელი, საჯაია, ელიავა, დვალი, მენთეშაშვილი, გორგიაშვილი (ოვონიკოკო 55), შარიქაძე, აფციაური (გუგუჩია 70), დ.მუჯირი (ბაბუნაშვილი 78)

**კოლხეთი:** ნადირაშვილი, ფოფხაძე, ცხვიტარია, ლომაშვილი, გაბუნია, გვალია, გოგონაია (ქებაძე 53), ცხადაია (ციცხვაია 65), წურწუმია (პავლიაშვილი 46), ტუღუში, პ.დათუნაიშვილი

უკანასკნელ პერიოდში ზესტაფონელებმა ოდნავ შეანელეს სვლა და გამარჯვების გემო უკანასკნელი ოთხი ტურის შეხვედრაში არ უგემიათ. ბოლოს ქვეყნის ჩემპიონმა რუსთავის „მეტალურგთან" შეხვედრაში 25 მარტს გაიმარჯვა და შემდეგი ოთხი საჩემპიონატო შეხვედრიდან ერთი დათმო და სამიც ფრედ დაასრულა. მართალია, იმავე რუსთავის „მეტალურგთან" სათასო ასპარეზზე 18 აპრილს გამარჯვებულმა შეხვედრამ მარგველებს გამარჯვების გემო გაახსენა და სასურველი გაგრძელებაც ჰპოვა.

ფოთის „კოლხეთთან" პირველი ტაიმი მთლიანად მასპინძელთა უდიდესი უპირატესობით წარიმართა. მიმდინარეობდა 13-ე წუთი, როდესაც ლევან შარიქაძის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა სტუმართა მეკარის ბაქანთან ჩაკიდებითა და ედიკ საჯაიას ლამაზი და რაც მთავარია ზუსტი თავურით დასრულდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გოლი ოფიციალურ შეხვედრებში ზესტაფონელთა რიგებში ედიკ საჯაიას მიერ გატანილი მეოთხე გოლი გახლავთ, წინა გოლი კი გამოცდილმა მცველმა თითქმის 5 წლის წინ, 2007 წლის 28 სექტემბერს, ბოლნისის „სიონის" კარში გაიტანა. რაც შეეხება ფოთელებთან დღევანდელ შეხვედრაში გატანილ მეორე გოლს, ისიც ლევან შარიქაძის მიერ წამოწყებული კომბინაციის შედეგად 36-ე წუთზე გავიდა. მარგველთა ნახევარმცველმა შეტევის მარჯვენა ფლანგზე დროული გადაცემით თეიმურაზ ღონღაძე მოძებნა, მან კი საჯარიმოში თორნიკე აფციაურზე უზუსტესი გადაცემა გააკეთა – მარგველთა კაპიტანის თავური აუღებელი გახლდათ.

ზემოთაღწერილი ორი ეპიზოდის გარდა, ზესტაფონელებმა იმდენი ხიფათი შექმნეს ზღვისპირელთა კართან, რომ ყველა ამ შეტევის აღწერა ალბათ შეუძლებელია. ვიტყვით, რომ გოლის გატანასთან ძალიან ახლოს იყვნენ დავით მუჯირი (2-ჯერ), ჯაბა დვალი, თორნიკე გორგიაშვილი და ლევან შარიქაძე, თუმცა ზესტაფონელთა მიერ საგოლე მომენტების რეალიზაციის ხარისხი ნამდვილად უკეთესის სურვილს ტოვებდა.

იგივე ისტორია გაგრძელდა მეორე ტაიმშიც. ზესტაფონელები განუწყვეტლივ უტევდნენ ფაზისელთა კარს. ძალიან კარგი იყო ლევან შარიქაძის შორეული გასროლა, რომელიც ფოთელთა კიპერმა ლადო ნადირაშვილმა თავგანწირულ ნახტომში მოიგერია. ფოთელებმა კი გოლის გატანის პირველივე შესაძლებლობა მშვენივრად გამოიყენეს – მასპინძელთა კარის სიახლოეს დანიშნული საჯარიმო ძალიან ძლიერი და

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-ევერტონი ................ 4:4
ვულვზი-სიტი ................ 0:2
ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი ....... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 35 | 26 | 5 | 4 | 86:32 | 83 |
| 2.სიტი | 35 | 25 | 5 | 5 | 87:27 | 80 |
| 3.არსენალი | 35 | 20 | 5 | 10 | 67:43 | 65 |
| 4.ნიუკასლი | 34 | 18 | 8 | 8 | 53:42 | 62 |
| 5.ტოტენჰემი | 34 | 17 | 8 | 9 | 57:39 | 59 |
| 6.ჩელსი | 34 | 16 | 10 | 8 | 56:38 | 58 |
| 7.ევერტონი | 34 | 13 | 9 | 12 | 42:38 | 48 |
| 8.ლივერპული | 34 | 12 | 10 | 12 | 40:37 | 46 |
| 9.ფულემი | 34 | 12 | 10 | 12 | 45:44 | 46 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 35 | 13 | 6 | 16 | 41:47 | 45 |
| 11.სანდერლენდი | 35 | 11 | 11 | 13 | 42:41 | 44 |
| 12.სუონსი | 35 | 11 | 10 | 14 | 39:45 | 44 |
| 13.ნორვიჩი | 35 | 11 | 10 | 14 | 47:60 | 43 |
| 14.სტოკი | 34 | 11 | 9 | 14 | 32:48 | 42 |
| 15.ასტონ ვილა | 34 | 7 | 15 | 12 | 35:48 | 36 |
| 16.უიგანი | 35 | 8 | 10 | 17 | 34:60 | 34 |
| 17.ქპრ | 35 | 9 | 7 | 19 | 39:57 | 34 |
| 18.ბლექბერნი | 35 | 8 | 7 | 20 | 47:73 | 31 |
| 19.ბოლტონი | 33 | 9 | 3 | 21 | 37:66 | 30 |
| 20.ვულვზი | 35 | 5 | 8 | 22 | 34:75 | 23 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

გრანადა-ხეტაფე ................ 1:0
სოსიედადი-ვილიარეალი ............ 1:1
რასინგი-ბილბაო ................ 0:1
ატლეტიკო-ესპანიოლი ............... 3:1
ვალენსია-ბეტისი ................ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 34 | 28 | 4 | 2 | 109:30 | 88 |
| 2.ბარსელონა | 34 | 25 | 6 | 3 | 97:26 | 81 |
| 3.ვალენსია | 34 | 15 | 10 | 9 | 54:42 | 55 |
| 4.მალაგა | 33 | 15 | 6 | 12 | 49:46 | 51 |
| 5.ლევანტე | 34 | 14 | 7 | 13 | 48:47 | 49 |
| 6.ატლეტიკო | 34 | 13 | 9 | 12 | 47:42 | 48 |
| 7.ბილბაო | 34 | 12 | 12 | 10 | 49:44 | 48 |
| 8.სევილია | 34 | 12 | 10 | 12 | 41:39 | 46 |
| 9.ოსასუნა | 33 | 11 | 13 | 9 | 37:53 | 46 |
| 10.ესპანიოლი | 34 | 12 | 9 | 13 | 44:46 | 45 |
| 11.ხეტაფე | 34 | 12 | 9 | 13 | 38:45 | 45 |
| 12.მალიორკა | 34 | 11 | 10 | 13 | 36:41 | 43 |
| 13.ბეტისი | 34 | 12 | 6 | 16 | 40:49 | 42 |
| 14.რაიო | 34 | 12 | 4 | 18 | 50:60 | 40 |
| 15.სოსიედადი | 34 | 10 | 1014 | | 41:50 | 40 |
| 16.გრანადა | 34 | 11 | 6 | 17 | 31:49 | 39 |
| 17.ვილიარეალი | 34 | 8 | 13 | 13 | 35:48 | 37 |
| 18.ხიხონი | 34 | 8 | 7 | 19 | 35:64 | 31 |
| 19.სარაგოსა | 34 | 8 | 7 | 19 | 29:60 | 31 |
| 20.რასინგი | 34 | 4 | 14 | 16 | 24:53 | 26 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

დეპორტივო-ელჩე ................ 4:3
ბარსელონა ბ-მურსია ................ 1:0

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-ინტერი ................ 0:0
ჯენოა-სიენა ................ 1:4
ლაციო-ლეჩე ................ 1:1
მილანი-ბოლონია ................ 1:1
ჩეზენა-პალერმო ................ 2:2
იუვენტუსი-რომა ................ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 33 | 19 | 14 | 0 | 57:18 | 71 |
| 2.მილანი | 33 | 20 | 8 | 5 | 63:27 | 68 |
| 3.ლაციო | 33 | 16 | 7 | 10 | 49:41 | 55 |
| 4.უდინეზე | 33 | 14 | 10 | 9 | 44:32 | 52 |
| 5.ნაპოლი | 33 | 13 | 12 | 8 | 58:41 | 51 |
| 6.რომა | 33 | 15 | 5 | 13 | 52:46 | 50 |
| 7.ინტერი | 33 | 14 | 7 | 12 | 47:45 | 49 |
| 8.კატანია | 33 | 11 | 13 | 9 | 44:43 | 46 |
| 9.კიევო | 33 | 11 | 10 | 12 | 30:40 | 43 |
| 10.სიენა | 33 | 11 | 9 | 13 | 41:35 | 42 |
| 11.პალერმო | 33 | 11 | 8 | 14 | 46:51 | 41 |
| 12.ბოლონია | 33 | 10 | 11 | 12 | 34:39 | 41 |
| 13.პარმა | 33 | 10 | 11 | 12 | 43:50 | 41 |
| 14.ატალანტა | 33 | 11 | 13 | 9 | 37:36 | 40 |
| 15.კალიარი | 33 | 9 | 11 | 13 | 33:42 | 38 |
| 16.ფიორენტინა | 33 | 9 | 11 | 13 | 32:38 | 38 |
| 17.ჯენოა | 33 | 9 | 9 | 15 | 44:62 | 36 |
| 18.ლეჩე | 33 | 8 | 11 | 14 | 38:49 | 35 |
| 19.ნოვარა | 33 | 5 | 10 | 18 | 27:56 | 25 |
| 20.ჩეზენა | 33 | 4 | 10 | 19 | 21:50 | 22 |

*ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-შალკე ................ 1:1
ჰანოვერი-ფრაიბურგი ................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 32 | 23 | 6 | 3 | 71:23 | 75 |
| 2.ბაიერნი | 32 | 21 | 4 | 7 | 71:21 | 67 |
| 3.შალკე | 32 | 18 | 4 | 10 | 67:42 | 58 |
| 4.გლადბახი | 32 | 16 | 8 | 8 | 46:24 | 56 |
| 5.შტუტგარტი | 32 | 14 | 8 | 10 | 60:42 | 50 |
| 6.ლევერკუზენი | 32 | 13 | 9 | 10 | 47:43 | 48 |
| 7.ჰანოვერი | 32 | 11 | 12 | 9 | 39:43 | 45 |
| 8.ვერდერი | 32 | 11 | 9 | 12 | 46:52 | 42 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 32 | 10 | 11 | 11 | 38:41 | 41 |
| 10.ვოლფსბურგი | 32 | 12 | 5 | 15 | 42:56 | 41 |
| 11.ნიურნბერგი | 32 | 11 | 6 | 15 | 34:43 | 39 |
| 12.მაინცი | 32 | 9 | 11 | 12 | 47:48 | 38 |
| 13.ფრაიბურგი | 32 | 9 | 10 | 13 | 41:56 | 37 |
| 14.ჰამბურგი | 32 | 8 | 11 | 13 | 35:56 | 35 |
| 15.აუგსბურგი | 32 | 7 | 13 | 12 | 35:49 | 34 |
| 16.კიოლნი | 32 | 8 | 6 | 18 | 37:67 | 30 |
| 17.ჰერტა | 32 | 6 | 10 | 16 | 37:59 | 28 |
| 18.კაიზერი | 32 | 4 | 11 | 17 | 21:47 | 23 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კარლსრუე-პადერბორნი ............ 2:0
ზანკტ პაული-ჰანზა ................ 3:0
ფორტუნა-უნიონი ................ 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

აიაჩო-ნანსი ................ 0:0
პსჟ-სოშო ................ 6:1
ლიონი-ლორიენი ................ 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონპელიე | 33 | 21 | 6 | 6 | 60:31 | 69 |
| 2.პსჟ | 33 | 19 | 10 | 4 | 63:35 | 67 |
| 3.ლილი | 33 | 17 | 11 | 5 | 62:36 | 62 |
| 4.რენი | 33 | 15 | 9 | 9 | 45:36 | 54 |
| 5.ლიონი | 33 | 17 | 5 | 11 | 52:43 | 56 |
| 6.სენტ ეტიენი | 33 | 15 | 8 | 10 | 44:37 | 53 |
| 7.ტულუზა | 33 | 15 | 8 | 10 | 36:30 | 53 |
| 8.ბორდო | 33 | 11 | 13 | 9 | 40:37 | 46 |
| 9.ევიანი | 33 | 12 | 9 | 12 | 48:47 | 45 |
| 10.მარსელი | 33 | 10 | 11 | 12 | 40:38 | 41 |
| 11.ნანსი | 33 | 10 | 11 | 12 | 33:39 | 41 |
| 12.ნიცა | 33 | 9 | 10 | 14 | 34:39 | 37 |
| 13.ვალანსიენი | 33 | 10 | 7 | 16 | 31:40 | 37 |
| 14.ლორიენი | 33 | 8 | 11 | 14 | 32:44 | 35 |
| 15.კაენი | 33 | 8 | 10 | 15 | 35:49 | 34 |
| 16.დიჟონი | 33 | 9 | 7 | 17 | 37:54 | 34 |
| 17.აიაჩო | 33 | 7 | 13 | 13 | 33:54 | 34 |
| 18.ბრესტი | 33 | 6 | 15 | 12 | 28:33 | 33 |
| 19.სოშო | 33 | 8 | 9 | 16 | 34:54 | 33 |
| 20.ოსერი | 33 | 5 | 13 | 15 | 37:48 | 28 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

დენ ჰააგი-ფეინოორდი ............... 1:2
ალკმაარი-ვენლო ................ 2:1
პსვ-ნაიმეგენი ................ 2:1
აიაქსი-გრონინგენი ................ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აიაქსი | 31 | 20 | 7 | 4 | 86:34 | 67 |
| 2.ალკმაარი | 31 | 18 | 7 | 6 | 62:33 | 61 |
| 3.ფეინოორდი | 31 | 18 | 7 | 6 | 62:34 | 61 |
| 4.ტვენტე | 31 | 17 | 9 | 5 | 76:36 | 60 |
| 5.პსვ | 31 | 18 | 6 | 7 | 76:45 | 60 |
| 6.ჰერენვენი | 31 | 16 | 10 | 5 | 69:51 | 58 |
| 7.ვიტესი | 31 | 14 | 7 | 10 | 42:36 | 49 |
| 8.როდა | 31 | 14 | 2 | 15 | 51:59 | 44 |
| 9.ვალვაიკი | 31 | 12 | 5 | 14 | 32:43 | 41 |
| 10.ნაიმეგენი | 31 | 12 | 4 | 15 | 38:42 | 40 |
| 11.ერაკლესი | 31 | 11 | 7 | 13 | 48:52 | 40 |
| 12.უტრეხტი | 31 | 10 | 9 | 12 | 49:52 | 39 |
| 13.გრონინგენი | 31 | 10 | 5 | 16 | 39:58 | 35 |
| 14.დენ ჰააგი | 31 | 8 | 8 | 15 | 34:55 | 32 |
| 15.ბრედა | 31 | 8 | 7 | 16 | 38:50 | 31 |
| 16.ვენლო | 31 | 7 | 4 | 20 | 36:73 | 25 |
| 17.გრააფსხაპი | 31 | 5 | 4 | 22 | 28:68 | 19 |
| 18.ექსელსიორი | 31 | 4 | 6 | 21 | 23:68 | 18 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

ჟილ ვისენტე-რიუ ავე ................ 0:0
ფეირენსე-სეტუბალი ................ 1:0
ნასიონალი-სპორტინგი ............... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 27 | 20 | 6 | 1 | 60:17 | 66 |
| 2.ბენფიკა | 27 | 19 | 5 | 3 | 60:24 | 62 |
| 3.ბრაგა | 27 | 18 | 5 | 4 | 55:24 | 59 |
| 4.სპორტინგი | 27 | 16 | 5 | 6 | 42:21 | 53 |
| 5.მარიტიმუ | 27 | 14 | 6 | 7 | 40:35 | 48 |
| 6.გიმარაეში | 27 | 13 | 3 | 11 | 35:34 | 42 |
| 7.ნასიონალი | 27 | 10 | 5 | 12 | 39:47 | 35 |
| 8.სეტუბალი | 27 | 8 | 6 | 13 | 23:42 | 30 |
| 9.ოლჰანენსე | 26 | 6 | 11 | 9 | 31:36 | 29 |
| 10.ფერეირა | 27 | 8 | 5 | 14 | 32:48 | 29 |
| 11.ჟილ ვისენტე | 27 | 6 | 10 | 11 | 24:37 | 28 |
| 12.რიუ ავე | 27 | 7 | 5 | 15 | 27:33 | 26 |
| 13.ბეირა მარი | 27 | 7 | 5 | 15 | 23:35 | 26 |
| 14.აკადემიკა | 26 | 5 | 8 | 13 | 23:34 | 23 |
| 15.ფეირენსე | 27 | 4 | 9 | 14 | 21:43 | 21 |
| 16.ლეირია | 27 | 5 | 4 | 18 | 23:48 | 19 |

**რუსეთი. პრემიერლიგა. ა ჯგუფი**

სპარტაკი-ანჟი ................ 0:3
ლოკომოტივი-რუბინი ................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 40 | 22 | 15 | 3 | 77:34 | 81 |
| 2.დინამო | 40 | 20 | 9 | 11 | 61:44 | 69 |
| 3.სპარტაკი | 40 | 19 | 11 | 10 | 61:43 | 68 |
| 4.ცსკა | 40 | 17 | 15 | 8 | 66:43 | 66 |
| 5.ლოკომოტივი | 40 | 18 | 11 | 11 | 56:38 | 65 |
| 6.რუბინი | 40 | 16 | 15 | 9 | 48:34 | 63 |
| 7.ანჟი | 40 | 17 | 12 | 11 | 46:36 | 63 |
| 8.ყუბანი | 40 | 15 | 12 | 13 | 46:41 | 57 |

**ბ ჯგუფი**

ვოლინი-დინამო ................ 0:1
ტერეკი-კრასნოდარი ................ 0:1
კრ.სოვეტოვი-როსტოვი ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9.კრასნოდარი | 40 | 15 | 11 | 14 | 51:53 | 56 |
| 10.ამკარი | 40 | 13 | 11 | 16 | 33:45 | 50 |
| 11.ტერეკი | 40 | 12 | 8 | 20 | 37:58 | 44 |
| 12.როსტოვი | 40 | 11 | 10 | 19 | 40:56 | 43 |
| 13.კრ.სოვეტოვი | 40 | 10 | 13 | 17 | 29:49 | 43 |
| 14.ვოლგა | 40 | 12 | 5 | 23 | 34:50 | 41 |
| 15.ტომი | 40 | 7 | 11 | 22 | 27:67 | 32 |
| 16.ნალჩიკი | 40 | 7 | 9 | 24 | 33:54 | 30 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

**1-6 ადგილებისთვის**

მოზერველი-სელტიკი ................ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 34 | 27 | 3 | 4 | 75:20 | 84 |
| 2.რეინჯერსი | 34 | 24 | 4 | 6 | 68:25 | 66 |
| 3.მოზერველი | 34 | 16 | 7 | 11 | 43:41 | 55 |
| 4.დანდი | 34 | 14 | 10 | 10 | 57:43 | 52 |
| 5.სტ.ჯონსონი | 34 | 14 | 8 | 12 | 42:38 | 50 |
| 6.ჰართსი | 34 | 14 | 6 | 14 | 41:35 | 48 |

*რეინჯერსს დაკლებული აქვს 10 ქულა*

**7-12 ადგილებისთვის**

ჰიბერნიანი-კილმანროკი ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7.კილმანროკი | 34 | 9 | 13 | 12 | 37:54 | 40 |
| 8.აბერდინი | 34 | 9 | 12 | 13 | 34:38 | 39 |
| 9.სტ.მირენი | 34 | 7 | 15 | 12 | 36:50 | 36 |
| 10.ინვერნესი | 34 | 8 | 8 | 18 | 36:56 | 32 |
| 11.ჰიბერნიანი | 34 | 6 | 9 | 19 | 34:63 | 27 |
| 12.დანფერმლაინი | 34 | 4 | 9 | 21 | 36:76 | 21 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ბაზელი ................ 0:3
ციურიხი-ლოზანა ................ 2:0

**ბელგია. პრო ლიგა**

**პლეი ოფი**

ბრიუგე-ანდერლეხტი ................ 0:1
გენკი-სტანდარდი ................ 3:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

არისი-კერკირა ................ 1:1
ასტერასი-პანიონიოსი ................ 2:0
ატრომიტოსი-ოლიმპიაკოსი ........ 0:2
დოჰა-აეკი ................ 1:1
ქსანთი-ერგოტელისი ................ 4:2
ლევადიაკოსი-პაოკი ................ 4:3
ოფი-იანინა ................ 0:2
პანათინაიკოსი-პანეთოლიკოსი .. 4:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ჰრადეც კრალოვე-პლზენი .......... 0:1
სლავია-სლოვაცკო ................ 0:1
ტეპლიცე-იაბლონეცი ................ 3:2
ბოლესლავი-სპარტა ................ 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ზაგლებიე-ბელხატოვი ................ 1:1
ლეჩნა-შლიონსკი ................ 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვორსკლა-ზარია ................ 2:2
არსენალი-კარპატი ................ 3:2
ჩერნომორეცი-მეტალისტი .......... 3:3

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-ლუნგბიუ ............... 3:0
სონდერიისკე-კიოგე ................ 2:2
კოპენჰაგენი-ჰორსენსი ................ 2:1
ბრონდბიუ-მიდტიულანდი .......... 0:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

გაისი-ნორჩიოპინგი ................ 2:0
აიკი-სუნდსვალდი ................ 1:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ულფი-სტაბეკი ................ 2:1
სტრომგოდსეტი-ვიკინგი ............ 1:0
ოდ გრელანდი-ფრედრიკსტადი .. 1:1
ჰენფოსი-ალესუნდი ................ 3:1
რუსენბორგი-ტრომსო ................ 3:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-ლახტი ................ 2:1
ინტერი-მიუპა ................ 2:0

*ინტერის პირველი გოლი ირაკლი სირბილაძემ გაიტანა*

კუუპიო-ტპს ................ 1:1
ჰაკა-მარიეჰამნი ................ 0:2
ჰონკა-ჯჯკ ................ 0:2

**აშშ. მლს**

დ.ს.იუნაიტედი-ნიუ იორკი .......... 4:1

**არგენტინა. კლაუსურა**

ოლ ბოიზი-უნიონი ................ 2:1
ბანფილდი-სან ლორენცო ........... 1:1
გოდოი-ინდეპენდიენტე .............. 0:0
ბელგრანო-ბოკა ................ 1:1

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ატლანტა-ნიუ იორკი ................ 112:113
ლეიკერსი-ოკლაჰომა .. 114:106(2ოტ)
დეტროიტი-ტორონტო ............. 76:73
მაიამი-ჰიუსტონი ................ 97:88
შარლოტი-საკრამენტო .......... 88:114
მინესოტა-კლივლენდი ............ 114:98
დენვერი-ორლანდო ................ 101:74
კლიპერსი-ნიუ ორლეანი ........ 107:98

### ჩოგბურთი

**ატპ. მონტე კარლო. თიხა**

**ფინალი**

ნადალი-ჯოკოვიჩი ................ 6:3;6:1

### ჰოკეი

**ნჰლ. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

ფილადელფია-პიტსბურგი .......... 5:1

**სერიის ანგარიში 4:2**

ვაშინგტონი-ბოსტონი ........... 3:4(ოტ)

**სერიის ანგარიში 3:3**

ვანკუვერი-ლოს ანჯელესი ... 1:2(ოტ)

**სერიის ანგარიში 1:4**

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# საქართველო თავის მიღწევებს მონღოლეთს გააცნობს

ნათია ხურცილავა

**საქართველოში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნებისთვის დაკვირვების მზადყოფნა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა გამოთქვა. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდაძემ განაცხადა. მინისტრის მოადგილის განმარტებით, ქართული მხარე ოფიციალურ წერილობით პასუხს არ ელოდება იმ შეთავაზებაზე, რომელიც პრეზიდენტის დავალებით, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში დაიგზავნა.**

— ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ სადამკვირვებლო მისიები დაინტერესებულები არიან, ჩამოვიდნენ საქართველოში და დააკვირდნენ საარჩევნო პროცესს. უბრალოდ, არსებობენ სახელმწიფოები, რომელთაც არ სურთ მათი მიღება და აფერხებენ. საქართველო ამის საპირისპირო მაგალითია, — განაცხადა ნინო კალანდაძემ. 6 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოქტომბერში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლების გამოგზავნის თხოვნით ოფიციალური მოსაწვევები გაუგზავნა საერთაშორისო ინსტიტუტებს — ეუთოს ადამიანის უფლებების და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისს, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეას, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, ნატოს საპარლამენტო ასამბლეას, ევროპარლამენტს და ევროკავშირის ინსტიტუტებს. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასევე თხოვნით მიმართა ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელს, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტს კეტრინ ეშტონს, რომ ევროკავშირმა დააფინანსოს მედიამონიტორინგის პროექტი, მსგავსად 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს განხორციელებული წარმატებული მედიამონიტორინგის პროექტისა. საგარეო უწყების ინფორმაციით, თურქეთთან ხელშეკრულების ტექსტი ისევ შეუთანხმებელია.

ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ისაუბრა. — კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის შესახებ ხელშეკრულების ტექსტი თურქეთთან ჯერ შეთანხმებული არ არის, — ამის შესახებ ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა..



საგარეო საქმეთა სამინისტროში კვლავ დაისვა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესახებ კითხვა.

— იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან დაკავშირებით გაიმართა პრემიერ-მინისტრთან არსებული კომისიის პირველი სხდომა. — ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ისაუბრა.

ნინო კალანდაძის განცხადებით, ეს არის ოფიციალური ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია როგორც მთავრობის, ასევე საპატრიარქოს წარმომადგენლებით. სხდომები პერმანენტულად გაიმართება, რომლის დროსაც გადაწყდება, თუ რა ფორმით წარიმართება ჯვრის მონასტერთან დაკავშირებული მოლაპარაკებები.

ნინო კალანდაძემ ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ჯვრის მონასტრის შესახებ მოპოვებული ახალი ისტორიული დოკუმენტით დაინტერესდება. არსებული ინფორმაციით, საქართველოს კულტურისა და კვლევითმა ცენტრმა მოიპოვა დოკუმენტური მასალა, რომლის მიხედვითაც, მეფე გიორგი XI-მ თავის დროზე ჯვრის მონასტერი გამოისყიდა. როგორც ნინო კალანდაძემ განაცხადა, მათ ხელთ არსებულ არქივში ეს ინფორმაცია არ მოიპოვება, თუმცა ნებისმიერი სახის დამატებითი ინფორმაცია სასარგებლო იქნება ამ მოლაპარაკებებში.

მიმდინარე წლის თებერვალში პრემიერ-მინისტრთან საზღვარგარეთ ქართული საკულტო ნაგებობების ზრუნვის, წარმომავლობისა და ტაძრების კუთვნილების დადგენისა და მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომლის წევრი საქართველოს ელჩი ისრაელში, აბესალომ კეკელიაც არის.

შესაბამისი ცვლილება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის დადგენილებაში შევიდა და საკანონმდებლო მაცნეშიც გამოქვეყნდა.

2014 წლისთვის უფრო მეტად გამოიკვეთება, რა სახის მხარდაჭერას საჭიროებს ავღანეთში არსებული სამშვიდობო მისია.

— გრიგოლ ვაშაძის განცხადება ეხებოდა ჩვენს ზოგად განწყობას და თანადგომას ამ მისიის მიმართ. ასევე, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, ვიყოთ ერთგული და აქტიური მონაწილე საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებაში, მათ შორის ავღანეთის მისიაშიც. — განაცხადა კალანდაძემ. მისივე თქმით, ქართული მხარის ჩართულობა შეიძლება ეხებოდეს, მაგალითად, ავღანეთში ტრენინგების ჩატარებას.

ნატო ავღანეთის ნაციონალურ არმიას და პოლიციას უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობას 2014 წლისთვის გადააბარებს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ კი რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ რომ საქართველო 2014 წლის შემდგომაც გააგრძელებს ავღანეთში ალიანსის ჩართულობის მხარდაჭერას.

კალანდაძის განცხადებით, რუსეთის ფედერაცია ცდილობს ქართული ნაწარმისთვის დაწესებული ემბარგო გამოასწოროს.

— რუსეთის ხელისუფლება მიხვდა, რომ საქართველოსთვის დაწესებული ემბარგო სულელური ნაბიჯი იყო და ცდილობს ეს გამოასწოროს, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

კალანდაძე რუსულ ბაზარზე ქართული ლიმონათის, „ზედაზენის" გატანის ფაქტს გამოეხმაურა.

მინისტრის მოადგილის თქმით, რუსეთის ხელისუფლება დიდი ხანია ცდილობს, რაიმე სახით დააინტერესოს ქართველი მეწარმეები, რომ დაბრუნდნენ რუსულ ბაზარზე. როგორც კალანდაძემ განაცხადა, რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგო უშედეგო აღმოჩნდა, ნახეს, რომ პოლიტიკურად საქართველოს ვერაფერი დააკლეს. ეკონომიკურად კი, პირიქით, ემბარგო პოზიტიურად აისახა ქართულ ბაზარზე და უფრო კონკურენტუნარიანი გახდა.

კალანდაძის თქმით, იმ ფონზე, როდესაც საქართველოს აქვს მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროკავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რუსეთს სურს, რომ დააინტერესოს ქართველი მეწარმეები მათ ბაზარზე დასაბრუნებლად. — იმ ფონზე, როდესაც უმსხვილეს სახელმწიფოებთან დაწყებული გვაქვს ეკონომიკური ურთიერთობები, განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, რას გადაწყვეტს რუსეთი და მოხსნის თუ არა ემბარგოს, — განაცხადა კალანდაძემ. საქართველოს დსთ-ს ფარგლებში გაფორმებული კიდევ 30-მდე ხელშეკრულებიდან სურს გამოსვლა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ საერთაშორისო ვიზიტებზე ისაუბრა.

პეკინში 25 აპრილს საქართველო-ჩინეთს შორის პოლიტიკური კონსულტაციების მესამე რაუნდი გაიმართება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდაძემ განაცხადა, საქართველო ჩინეთთან ურთიერთობების აქტიურ ფაზაში გადავიდა, ეს ეხება როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სფეროს.

— ჩინეთი არის ერთ-ერთი მზარდი და მსხვილი ეკონომიკის ქვეყანა, დიდი ბაზრით და დიდი შესაძლებლობებით ქართველი მეწარმეებისთვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჩინეთიდან განხორციელდეს ინვესტიციები და ჩვენი მეწარმეებისთვის გაიხსნას ჩინური ბაზარი. ამის საწინდარია პოლიტიკური კონსულტაციების ასეთი სიხშირით გამართვა, — დასძინა კალანდაძემ.

27 აპრილს, ულან-ბატორში საქართველო-მონღოლეთს შორის პოლიტიკური კონსულტაციების პირველი რაუნდი გაიმართება.

საგარეო უწყების ინფორმაციით, გასულ კვირას საქართველო-სომხეთს შორის პოლიტიკური კონსულტაციების მორიგი რაუნდი გაიმართა.

ქართულ დელეგაციას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ნიკოლოზ ვაშაკიძე ხელმძღვანელობდა. კალანდაძის ინფორმაციით, ნიკოლოზ ვაშაკიძე სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა, სადაც ყველა მიმდინარე საკითხი განიხილეს, რომელიც ორ სახელმწიფოს შორის არსებობს.

# ალექსანდრე ბასილაია მოსკოვში გაიხსენეს

ეკა ირემაშვილი

მოსკოვში მდებარე „კროკუს სიტი ჰოლში" ქართველი კომპოზიტორის ალექსანდრე ბასილაიას ხსოვნის საღამო გაიმართა. კონცერტში ქართველი და რუსი მომღერლები მონაწილეობდნენ. ქართველ მომღერალთა ნაწილი კომპოზიტორის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის სპეციალურად თბილისიდან ჩავიდა, მათ კი რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერლებიც შეუერთდნენ.

ქართული და რუსული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების ერთობლივ კონცერტს „რწმენით, იმედითა და სიყვარულით" ერქვა და მასზე ალექსანდრე ბასილაიას უკვდავი ჰიტები კიდევ ერთხელ აჟღერდა.

საქართველოდან მოსკოვში ჩავიდნენ მომღერლები თამრიკო ჭოხონელიძე, ბესო კალანდაძე, ნინო ქათამაძე, ზურა დოიჯაშვილი, კვარტეტი „ფორტე", ეკა კვალიაშვილი, მამუკა ონაშვილი, ირმა სოხაძე, ზურაბ მანაგაძე, ნინი შერმადინი, ანსამბლ „ივერიას" წევრები — თემურ წიკლაური, ლუიზა კობალაძე, ვახტანგ ტატიშვილი, მანანა თოდაძე, ნუგზარ კვაშალი, თამუნა ამონაშვილი, თემურ ყვითელაშვილი, რომა რცხილაძე და ტატო გოდერძიშვილი. თბილისიდან მიწვეულ სტუმრებს მოსკოვში დახვდნენ სოსო პავლიაშვილი, თემურ თათარაშვილი, თამარ გვერდწითელი, ვალერი და კონსტანტინე მელაძეები, დათო ხუჯაძე, დიანა ღურწკაია, ქეთა თოფურია და ირაკლი ფირცხალავა. ალექსანდრე ბასილაიას ხსოვნის საღამოზე საპატიო სტუმრის სტატუსით მიწვეული იყვნენ ლარისა დოლინა, იოსებ კობზონი, კონსტანტინ რაიკინი, ნიკოლაი რასტორგუევი, ოლეგ გაზმანოვი და ჯგუფი „ლუბიე". კონცერტის პირველ ნაწილში ალექსანდრე ბასილაიას ყველაზე ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებები შესრულდა, მეორე ნაწილში კი — ქართველი კომპოზიტორების უკვდავი კომპოზიციები. ქართველი კომპოზიტორის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოს ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავები კახი კავსაძე და გივი ბერიკაშვილი უძღვებოდნენ.

როგორც კონცერტის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ღონისძიება პოლიტიკასთან არაფერ კავშირშია და ფინანსურ მხარდაჭერას არც ერთი პოლიტიკური ძალისგან არ იღებს. მათი თქმით, ამ საღამოს მიზანი ქართველ და რუს ხალხებს შორის ნდობის და მეგობრული ურთიერთობის გამყარებაა. მოსკოვში დაგეგმილი ქართველი კომპოზიტორის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტის ბილეთი 800-დან 4800 რუბლამდე ღირდა.

ალექსანდრე ბასილაიას 70 წლის იუბილეს მიუძღვნა თავისი პირველი სოლოკონცერტი ჯეოსტარის გამარჯვებულმა ნოდიკო ტატიშვილმა, რომელმაც სწორედ ამ ფორმით გადაწყვიტა კიდევ ერთხელ გადაეხადა დიდი მადლობა თავისი პედაგოგისთვის.

ქართველი კომპოზიტორი სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში პიანისტ-აკომპანიატორად, იყო ანსამბლ „ივერიის" ხელმძღვანელი და სოლისტი, თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, კომპოზიტორთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი. მისი შემოქმედება რადიკალურად თვითმყოფადია და ამას ანსამბლ „ივერიის" რეპერტუარიც მოწმობს. კომპოზიტორმა 5 მიუზიკლი დაწერა — „ჩხიკვთა ქორწილი", „არგონავტებ", „თოვლის ბებოს ზღაპარი", „ფიროსმანი" და „შლიაგერი, შლიაგერი". მან „ივერიასთან" ერთად კონცერტები გამართა პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და პორტუგალიაში, აგრეთვე ყოფილ სსრკ-ს ქალაქებში. ალექსანდრე ბასილაია 67 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გერმანიაში გარდაიცვალა. იგი თბილისში ჩამოასვენეს, დიდ საკონცერტო დარბაზში დაასვენეს და დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

# სვეტიცხოვლის ტაძრის გრაფიკული დოკუმენტაცია შექმნილია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

IV-X კლასის მოსწავლეთათვის და მოიცავს შემეცნებითი გაკვეთილების კურსს საქართველოს არქიტექტურის, ფერწერისა და გამოყენებითი ხელოვნების შესახებ. პროგრამის თემატიკაში გაერთიანებულია საკითხები — ქართული მონუმენტური მხატვრობა, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები — მოხატული კერამიკა, ქართული ხალხური საცხოვრებელი, რა არის მოზაიკა, ქართული ციხე-კოშკები, ფიროსმანი და მისი სამყარო, თბილისი — ისტორია და მემკვიდრეობა, ეთნოგრაფია — საახალწლო სამზადისი, ნახატი ფიგურების გარეშე. გაკვეთილების ფორმატი თხრობისა და კითხვა-პასუხის გარდა, გულისხმობს თავად მოზარდის შემოქმედებით აქტივობას — ხატვას, ძერწვას, ნივთების რესტავრირებას, ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაშებისა თუ სხვა სახალისო ამოცანების შესრულებას, — აღნიშნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა.

საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამით „კულტურული მემკვიდრეობა ბავშვებს" დაგეგმილი გაკვეთილები შაბათს და კვირას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სათავო ოფისის საგანმანათლებლო სივრცეში ჩატარდება. თავად პროგრამის პრეზენტაცია კი აპრილის ბოლოს არის დაგეგმილი.



## ჩპჯცდჯპბ ,

**შვეულად:** 1. ამერიკული ჯიპი; 2. უარყოფითი მსჯელობა, რაიმეს შესახებ ნაკლოვანებებზე მითითება; 3. ეგრისის სამთავროს მთავარი ქალაქი; 4. დიდი თევზსაჭერი გემი; 8. ფინური წარმოშობის ამერიკელი არქიტექტორი, კენედისა და დალესის სახელობის აეროპორტების შენობების პროექტის ავტორი; 9. ნავთობპროდუქტების გასაწმენდად გამოყენებული მინერალი, მათეთრებელი თიხა; 11. მთავარი ქუჩა ნიუ-იორკში; 12. ხოხბის, მწყრის ბარტყი; 14. ლოკომოტივებისა და ვაგონების სადგომი; 16. ვაზის სასხლავი მაკრატელი; 17. მეხსიერების დაქვეითება, დაკარგვა; 19. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 21. სპორტული სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით.

**თარაზულად:** 5. რაიმე მოვლენის დამახასიათებელი გარეგანი ნიშანი; 6. ორკესტრის ხელმძღვანელი; 7. ქართველ სახალხო მკურნალთა გვარი; 10. ერბოთი და ყველით მომზადებული აჭარული კერძი; 13. მზის სისტემის პლანეტა; 15. სპორტის ტექნიკური სახეობა, მოტოციკლეტებით რბოლა ყინულზე და წიდიან ბილიკზე; 22. სამოდელო სააგენტო თბილისში; 22. მათემატიკის ნაწილი; 23. სიტყვის თავსართი გრამატიკაში; 24. ველური ვაზი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## ობყფ ყჯვცპიბ უფვჯმდც.ყც,ეჯბ ჩპჯცდჯპლთ,ßჩ გფცეÍც,ბ5

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. სემინარი; 6. კონტროლი; 10. სინოდი; 11. ტარანი; 12. ანიზოტროპია; 17. ამარეტო; 18. კელნერი; 19. ნაპრალი; 20. კრისტინა.

**შვეულად:** 1. კემბრიჯი; 2. სალუტი; 3. ანდანტე; 4. ალასანია; 7. კორტასარი; 8. კარატისტი; 9. პრიმადონა; 13. ლამპიონი; 14. მარაკანა; 15. ნორმალი; 16. რემისია.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ნასკვი; 2. ლომი; 3. ირონია; 4. სალარო; 5. იმრე; 6. კაა; 7. მისის; 8. ერბო; 9. კარუზო; 10. საინი; 11. ტემპერა; 12. პა; 13. ერა; 14. კატამარანი; 15. რაკურსი; 16. რო; 17. ორმო; 18. აკონკაგუა; 19. პკე; 20. აგნი; 21. ზა; 22. არისა; 23. ასი; 24. აჯა; 25. მსაჯი; 26. ონაგრი; 27. პატრი; 28. პაი; 29. ისა; 30. ინტუიცია; 31. ანოა; 32. ცანა; 33. ჟერარ; 34. ისინდი; 35. კრიმინალისტი.

**სურათებზე:** ჯილიან ანდერსონი; ჯონ ტერი.

ცფვუქჯდბფვჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

# ალდგომიდან ალდგომამდე

## მონატრება

ეს ის თეთრჩოხიანი ბიჭია, რომელმაც 2011 წლისაღდგომისბრწყინვალედღესასწაულზემთელი საქართველო აატირა, რომლის წმინდა სული წუთისოფელს განეშორა და ცად ამაღლდა. ეს ის თმაქოჩორა, თვალებანთებული, სიცოცხლით სავსე ბიჭია, რომელმაც საკუთარი 10-წლიანი სიცოცხლე ყველა ახლობელს გაუნელებელ ტკივი-



ლად, მონატრებად, მოგონებად შემოუნახა.

ისევ მიიწურა ავბედითი ერთი წელიწადი უშენოდ, შენს სურათებთან და ტკივილიან მოგონებებთან ერთად... აღდგომიდან აღდგომამდე, ვინ იცის, რამდენი კვნესა აღმოხდენია დედის ბაგეს; რამდენჯერ ჩაუმუხლავს სიმწრისგან, შენი დაკარგვის ტკივილისგან, უთქმელ მამას; რამდენი ღამე უთენებია შენს საფლავზე სანთლებთან ერთად ივერი ბაბუს... გაუსაძლისი ერთი წელიწადი, ხან ცრემლებით გალუმპული დღეები, ხან მდუმარებაში გატრუნული ღამეები – შენს სახელზე გაცემული უამრავი მოწყალება, შენს სახელზე ანთებული უამრავი სანთელი, ყველა ეკლესია-მონასტერში...

და, ვინ იცის, რამდენი რამ ხდება შენ ირგვლივ, უშენოდ, ამ ერთი წლის განმავლობაში... ყველა სუფრაზე განსაკუთრებული სადღეგრძელო შენ გეკუთვნის, მაგრამ შენი შესანდობარი ჯერ არავის დაულევია, ამის უფლებას არავის აძლევს შენი მამიკო, ივერი ბაბუ... შენ, პატარა ბიჭი, ანგელოზთა დასში წაგიყვანა უფალმა – ასე დაგვაიმედა უწმინდესმა, ჩვენმა პატრიარქმა. პატარა ბიჭი, მაგრამ, დიდი გული, კაცური გული! სიცოცხლით სავსე, სხარტი და ჭკვიანი, ივერი ბაბუს დიდი იმედი, გვარის ჯილა, დედიკოზე უზომოდ შეყვარებული ქოჩორა ბიჭი, მამიკოს პატარა მეგობარი... ეთერი ბებოს ნანატრი შვილიშვილი.

წელიწადიც მიიწურა უშენოდ...

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული – უშენოდ.

დაბადების დღე, 25 აპრილი უშენოდ – ცხოვრება გაგრძელდება უშენოდ...

ერთი წლის ყველა დღე, ახალ-ახალი ყვავილებით შემოსილი შენი მუდმივი სამყოფელი... რაც უფრო ახლოვდება აპრილის 24-25, მით უფრო უსაშველოა ტკივილი დედის, მამის... სევდიანი გეძებს და გეტიტინება პატარა დათა, რომელსაც პირველი ნაბიჯები შენ გადაადგმევინე... სევდიანია შენი უთქმელი მარიამი... უსაზღვრო ტკივილი ახლავს შენს მონატრებას, შენს მოგონებას, შენზე საუბარს, სამწუხაროდ, უკვე წარსულში... თვალებამოღამებული დედიკო ჩუმად გეკითხება – ნეტავ რამდენი ხანი მომიწევს უშენოდ ყოფნაო.

გვენატრები ყველას და ამ მონატრებას უსაშველო ტკივილი ჰქვია...

ენატრები შენს პედაგოგებს, თანაკლასელებს, თანატოლებს. 2011 წლის ოქტომბერში, შენი სახელის უკვდავსაყოფად, „ევროპულ სკოლაში“, სკოლის დირექტორის, ქალბატონ ნანა მოსიძის ინიციატივით, შენი სახელობის ტურნირი ჩატარდა ფეხბურთში, შენივე სახელობის თასი გათამაშდა, სადაც მონაწილეობა მიიღეს „ევროპული სკოლისა“ და „ოლიმპის“ მოსწავლეებით დაკომპლექტებულმა გუნდებმა.

სკოლის პედაგოგთა საერთო გადაწყვეტილებით, ტურნირი ივიკო ჭელიძის თასზე ტრადიციული გახდება, ყოველწლიურად ჩატარდება და მასში უფრო მეტი გუნდი მიიღებს მონაწილეობას...

„ყველგან გამორჩეული, წარჩინებული მოსწავლე, გონიერებითა და მაძიებელი ბუნებით, ზნეკეთილი და ჭკვიანი, მთის შვილისთვის დამახასიათებელი ვაჟკაცურობითა და ღირსებით შემკული, უშიშარი“, – ასე გახასიათებენ შენი სკოლის პედაგოგები...

ვაი, რომ მართლაც წარსულში დარჩა ეს ყველაფერი...

დრო ყველაფრის მკურნალიაო... განა რამდენი დრო უნდა გავიდეს, რომ ავბედითი 2011 წლის 24 აპრილი სამუდამოდ წაიშალოს შენი ახლობლების ცხოვრებიდან?!

დრო ვერ კურნავს სიკვდილისგან დაფლეთილ გულებს.

დრო ვერ წაშლის საყვარელი ადამიანის დაკარგვის ტკივილს...

დრო მემატიანეა ჩვენი განცდილისა და განსაცდელისა, ჩვენი ტკივილისა და სიხარულის... დრომ დაითვალა ბედნიერებით აღსავსე 10 წელიწადი შენი ლამაზი სიცოცხლის. დრომ დაწერა შავი ციფრებით ბედისწერის დაფაზე: „სამარადჟამოდ წავიდა ჩვენგან თავისი უმანკო და ნათელი სულით ივიკო (იოანე) ჭელიძე ცათა სასუფეველში...“.

ტკივილმა დააწერინა შენს პედაგოგს, აკაკი მინდიაშვილს, წიგნი – „სიკვდილიდან უკვდავებისაკენ“...

„ვუძღვნი სიყვარულით ჩემს მოწაფეს იოანე (ივერი) ჭელიძეს, რომელიც მკითხველს სთხოვს:

„ენის, მამულისა და სარწმუნოებისთვის, ქართველი ერის სულიერი გაბრწყინებისთვის მლოცველნო, ქრისტესმიერ საყვარელნო მამანო და დედანო, დანო და ძმანო, მოკრძალებით გთხოვთ, თქვენს წმინდა ლოცვებში მოიხსენიოთ სული იოვანე ჭელიძისა“.

მშვიდად განისვენე შენს საყვარელ ნელი ბებოსთან ერთად, ივერი ბაბუას იმედო და ტკივილო,

მამის სიამაყევ და მეგობარო,

დედის ჩაუმქრალო სანთელო, თმაქოჩორა ბიჭო... აკი ამბობს შენი მონატრებით დაღლილი დედა: აქაც ჩემი იმედი იყავი და იქაც ჩემი იმედი ხარო.



მეგობრები გულიკო ჩაფიძე, ზაირა არსენიშვილი, ლანა ღოღობერიძე, თინათინ ბულუსაშვილი, ვახტანგ და ლამარა დათიშვილები, გურამ საღარაძე, ჯემალ ღაღანიძე, სოსო ლაღიძე, დიზი სურგულაძე, პაპუნა ჟღენტი, სულხან ქასრაშვილი, გია რამიშვილი, ზურა მენაბდე, ბენო მუსერიძე, თამაზ გამცემლიძე, თენგიზ ჩიკვაიძე, თენგიზ ქოიავა, ომარ ცაავა, ლევან კულუმბეგაშვილი, დემიკო ლოლაძე თანაუგრძნობენ ლევან ქურციკაშვილს საყვარელი შვილის

**მანანა ქურციკაშვილ-ლეჟავას**

გარდაცვალების გამო.

ბიძა რევაზი, ბიძაშვილი გიორგი ქურციკაშვილები, მამიდაშვილი გურამ კაციტაძე, მედიკო გოგებაშვილი, ბიძინა და ქეთი დიდებულიძეები, გივი კაციტაძე იუწყებიან

**მანანა ქურციკაშვილ-ლეჟავას**

გარდაცვალებას.

მეუღლე ლამარა, შვილები ირმა, ირაკლი, შვილიშვილი ანა, სიძე თამაზ კვარაცხელია, რძალი მიმოზა, ძმისშვილები დავითი, კონტანტინე, გიორგი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვიტალი დავითის ძე ფირცხალავა**

პანაშვიდი: 24, 25 აპრილს, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 15, I სადარბაზო.

გამოსვენება: 26 აპრილს, 14 საათზე, ამაღლების ეკლესიიდან (საბურთალოს სასაფლაო).

ცფვუქჯდბფვჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ
ჯდტქლქტ7 რდბჰბც უფჰლფ7!@-ლფყ!& ცფფსფვლტ8

# დინამოს მერვე ფრე

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ზუსტი დარტყმით პავლე დათუნაიშვილმა გოლად აქცია – 2:1 ზესტაფონელთა სასარგებლოდ.

**ბაია – მეტალურგი 0:1**

**ზუგდიდი.** ბაიას საწვრთნელი ბაზა

0:1 კვარაცხელია (7)

**ბაია:** მაქაცარია, გ.ქვარცხავა (პაჭკორია 60), ნ.შონია (ენდელაძე 76), კუტალია, სიხარულია (კუკავა 56), გ.გაბედავა, შ.ლომია, აფაქიძე, ზ.ქვარცხავა, აქუბარდია, ლ.აკობია

**მეტალურგი:** ბათიაშვილი, დობროვოლსკი, მახვილაძე, თექთურმანიძე (გ.სეთურიძე 66), გეწაძე (სიხარულიძე, 75), გ.კვარაცხელია, ი.მაისურაძე, ს.თოდუა, ტატანაშვილი (ქავთარაძე 86), ჯაფარიძე, რაზმაძე

რუსთაველებმა მორიგი გამარჯვება მიითვალეს და საჩემპიონო ბრძოლას ისევ აგრძელებენ. მატჩის ერთადერთი გოლი დასაწყისშივე გავიდა, რომლის ავტორი მეტალურგთა კაპიტანი გივი კვარაცხელიაა.

**მერანი – ტორპედო 3:0**

**მარტვილი.** ცენტრალური

1:0 ტორონჯაძე (39), 2:0 ფონიავა (68), 3:0 ჟვანია (74პ)

**მერანი:** შეროზია, ჟვანია, იობაშვილი, გეგეჭკორი, სუხიაშვილი, დიდავა, წოწორია, ე.გრიგალაშვილი (მელიავა 90), ფონიავა, ტაპე (ამბროლაძე 60), ტორონჯაძე (ბოხუა 83)

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, კვახაძე, გამეზარდაშვილი, რიგვავა (ვ.ბოლქვაძე 76), გ.გურული, დიღმელაშვილი (კუხიანიძე 71), გ.დათუნაიშვილი, თარხნიშვილი, გ.დოლიძე, საბანაძე (ფანცულაია 62), რ.გოცირიძე

მარტვილელებმა ისევ გააჭენეს და ამჯერად მათი მსხვერპლი ქუთაისი „ტორპედო“ აღმოჩნდა. „მერანმა“ მართლაც დიდებულად ითამაშა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 22 | 12 | 7 | 3 | 40:23 | 43 |
| 2.მეტალურგი | 22 | 13 | 3 | 6 | 31:23 | 42 |
| 3.ტორპედო | 22 | 9 | 5 | 8 | 23:21 | 32 |
| 4.დინამო | 22 | 7 | 10 | 5 | 35:28 | 31 |
| 5.დილა | 22 | 7 | 7 | 8 | 25:23 | 28 |
| 6.კოლხეთი | 22 | 5 | 8 | 9 | 17:26 | 23 |
| 7.ბაია | 22 | 5 | 7 | 10 | 19:29 | 22 |
| 8.მერანი | 22 | 5 | 3 | 14 | 25:42 | 18 |

**ბომბარდირები:** ჯაბა დვალი (ზესტაფონი) – 18 ბურთი; ჩისკო (დინამო) – 12; დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 11; რევაზ გოცირიძე (ტორპედო) – 9.

**პლეი აუტი**

***დინამო(ბ) – გაგრა 1:0***

**ბათუმი. ადელი**

1:0 გოგიტიძე (45)

**დინამო:** ალავიძე, ქორიძე, რამიშვილი, კაჭკაჭიშვილი, ლობჟანიძე, ა.მუჯირი (კარაკულიანი 62), გოგიტიძე (მაკარიანი 79), დიასამიძე, ბერიძე, ჯორბენაძე (ცანავა 70), ბაციკაძე

**გაგრა:** ბეგაშვილი, ჯგერენაია, ნარმანია (ნადირაძე 65), ტყეშელაშვილი (კიკნაველიძე 50), ხუციძე, ჭკუასელი, ნ.ჯიშკარიანი, ხოჯაშვილი, ყურულაშვილი, ჯერემია, სარდალიშვილი (კვანტალიანი 46)

მერცხალი-ვიტ ჯორჯია1:2

გურია-სპარტაკი .............. 2:1

ჩიხურა-სიონი ................. 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 8 | 5 | 2 | 1 | 12:7 | 17 |
| 2.გურია | 8 | 5 | 2 | 1 | 15:10 | 17 |
| 3.ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 1 | 2 | 9:5 | 16 |
| 4.სიონი | 8 | 3 | 3 | 2 | 14:8 | 12 |
| 5.დინამო (ბთ) | 8 | 3 | 2 | 3 | 6:9 | 11 |
| 6.სპარტაკი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:11 | 8 |
| 7.გაგრა | 8 | 1 | 3 | 4 | 7:9 | 6 |
| 8.მერცხალი | 8 | 0 | 1 | 7 | 2:15 | 1 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## TV პროგრამა

**სამშაბათი 24 აპრილი**

**07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** საფეხბურთო მიმოხილვა **13.15** მხ. ფილმი **"ცასა და მიწას შორის"** **15.00** სერ. **"დეტექტივი"** **17.00** მედ-ინფო **17.30** დამზადებულია საქართველოში **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"არც ასე, არც ისე"** **21.00** სერ. **"დეტექტივი"** **22.00** დიალოგი დავით პაიჭაძესთან **22.40** **ფეხბურთი – ჩემპიონთა ლიგა**: ნახევარფინალი **00.40** მხ. ფილმი **"მწუხრი"** (**12**) (პ. ნიუმენი) **02.25** მოამბე **02.45** მხ. ფილმი **"ნაფოტი"** (**18**) (შ. სტოუნი) **04.40** მხ. ფილმი **"მეცამეტე"** (**12**) (ვ. კილმერი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **20.00** მხ. ფილმი **"მიმართეთ ჯეინს"** **01.00** მხ. ფილმი **"ჩვეულებრივი ეჭვმიტანილები"**

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **1**-ლი ს. **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ღვინის გზა"** **15.40** ღამის შოუ (გან.) **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** ნანუკას შოუ **23.40** თბილისი ლაივი **00.50** მხ. ფილმი **"კასანდრას ოცნება"** (**15**) (ი. მაკგრეგორი) **03.10** მხ. ფილმი **"კეთილი მწყემსი"** (კ. სლეიტერი) **04.40** მხ. ფილმი **"მაროკოელი ტერორისტი"** (**18**) (ლ. ფიშბერნი)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** ვანოს შოუ **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** შიშის ფაქტორი **00.00** შუა დღე **01.30** პატრული **02.00** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ტაქსის მძღოლი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** იცხოვრე ფეხბურთით **22.50** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სიამაყე"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00** "დრო" **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **"მონტალბანო"** **13.50** სახლი ბათუმში **15.15** სერ. **"სიამაყე"** **15.50** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** დოკ. ფილმი "ისინი" **23.40** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** გუთნისდედა **11.20** სადვთისმეტყველო საუბრები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"იმერული ესკიზები"** **13.30** კონცერტი – ტრიო "თბილისი" **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად". **15.55** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.20** მხ. ფილმი **"მე ვხედავ მზეს"** **18.10** დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.30** დროის ჩანაწერები **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **22.25** მგზავრების წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დოკ. ფილმი "ალექსანდრე კორსანტია" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კარაბადინი **01.25** კონცერტი ანს. "შინი"

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 aprili

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,639

ევრო —2,1551

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6114

რუსული რუბლი — 0,0549

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9

**ამინდის პროგნოზი 24 აპრილისთვის**




# 25 აპრილიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად




## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

### მესამე ტომი

# კანიბალიზმის ისტორია

გამოსულია:




**პირველი ტომი ტირანები**




**მეორე ტომი 100 გამოჩენილი მხედართმთავარი**

გამოსაცემად მზადდება:

- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები – იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

# 28 მარტიდან

**ეყჰრფქჯეჰ გჰჯჭმნზ**

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ 23-ე ტომი

# ლ P F Y ჯ F

3!)) ობუყიბ4 იცლბც
ბ3 ფლფვბფყსფ ,ბჯუჰფაბც,ბ7
ჰჯვცჯსფნ ლბლბ hეფჯბ
ლფნჯეცც ვცჯაჯბჯ
გჯჯბნბhფიბ7 ვცნყბცჰც,ფცფ
ლფ hეჯნეჰფიბ8

**უფპტსბ ლფ ოზუყბ ტჰსფლ**
*** კფჰბ**




## .ღცჯფვ უფბსღფჯბცობყცს=
## წარმატებული დღეა

**fcnhjghjuyjpb**
@$ ფგჰბჯბცსღბც

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ლომი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ქალწული** — ახალი საქმე დაგაინტერესებთ, იაქტიურეთ. **სასწორი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, არ გადაიღალოთ. **ღრიანკალი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ბედი გწყალობთ. **მშვილდოსანი** — ნურავის ენდობით, საკუთარ თავს დაეყრდენით. **თხის რქა** — ყურადღების ცენტრში ხართ და ეს გსიამოვნებთ. **მერწყული** — ახალი საქმე მოგწონთ, უფროსობა კმაყოფილია. **თევზები** — ჩაფიქრებული ხართ, საკითხს აანალიზებთ.

უბცეჰღც,ს ,ცლყბცჰ ლქცს=

## hჰჯცღჯჰლბ ფ

**შვეულად:** 1. სტიბიუმის საბადო რაჭაში; 2. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი; 3. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 4. მილების სისტემის მქონე, დიდი, კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 6. მოლაპარაკე ფრინველი; 9. ქართველ ქალთა ცეკვა; 13. გემის სამზარეულო; 14. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 15. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 17. ბერების განცალკევებული სადგომი მონასტერში; 18. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 20. მდინარე კახეთში.

**თარაზულად:** 1. გერმანული მინერალური წყალი; 5. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 7. ხეხილის ბაღი; 8. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის კინოპრიზი; 10. ძველებური კაჟიანი თოფი; 11. აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი ხალიჩა; 12. კოსმეტიკური საცხი; 16. თონეში გამომცხვარი პური; 17. ბედიღბლიანობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 21. ერთ-ერთი უძველესი ქართული დამწერლობა; 22. რკინიგზის ხაზის სიგრძის საზომი ერთეული; 23. საოლქო ცენტრი დასავლეთ უკრაინაში; 24. ფენოვანი ქანი, იპობა, სკდება თხელ-თხელ ფირფიტებად.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

